

# ახალი ტანათლექსი

№10 (444) გაიშინა 1998 წლიდან

## 24 მარტი - ოლღა გურამიშვილი-ჭავჭავაძის დაბადების დღე

ილია ჭავჭავაძე  
ოლღა გურამიშვილი

ჩემო კარგო და სანახავად სანატრელო ოლიკო! ამ უკანასკნელს დროს ძალიან გამოინადირე შენს ქმარზედ. ამას წინად მომწერე, რომ მე ვითომც ვაზილა უფრო მახსოვდეს, ვიდრე შენ. ეხლა მწერ, რომ შენაო ჩემს წიგნებს არა კითხულობო, ამიტომაც არც ერთზედ პასუხს არა მწერო. არ ვიცი ამგვარი საყვედურები საიდან და როგორ დავიმსახურე. შენ რომ იცოდე რა რიგად მანუხებს ხოლმე ამისთანა საყვედურები, შემებრალებდი და არ მომწერდი.

დაიცა, დაიცა, მოვალ მანდ და ყველაფერში გავსწორდებით, ჩემო კუკულუშკი! სულ ლოყებს დაგიკმენ, დამაცა!...

ნიკოლოზი, წინო შეილუბითურთ მომიკითხე და ჩემ მაგიერ აკოცე მრავალ ჯერ ერთს ქალს, რომელსაც ოლიკოს ეძახიან და უთხარი, რომ უბრწყინვალესი თავადი ილია ჭავჭავაძე მისი ქმარია.

საუკუნოდ და უკუნის იქითაც შენი ილია ჭავჭავაძე



„ილია როგორც ვიცით გულჩახვეული კაცი იყო. ილიას ცოლი, ოლღა, კი სულ სხვა ხასიათისა: გულჩვილი, მშვიდი, სათნო, გულშემატკივარი, თავმდაბალი. ილიას ხომ სულ თვალ-წარბში შეჰყურებდა. ილიას ერთი წარბის შეხრა საკმარისი იყო, რომ მოყვარული ცოლი მიმხედარიყო მის გულისწადილს და მყისვე აესრულებინა. ოლღა ბედნიერად თვლიდა თავის თავს, რომ ბედმა არგუნა მეუღლედ ასეთი შესანიშნავი, დიდბუნებოვანი ადამიანი და ამით სრულიად კმაყოფილი იყო, მეტს არაფერს ნატრულობდა.

ილია მისთვის სათაყვანო კერპი იყო, რომლის წინ მუხლს იდრეკდა. ილიას აღმერთებდა და ამიტომ თვალ-წარბში შეჰყურებდა, თავს დასტრიალებდა რომ არც თითონ და არც სხვას არა ეწყენინებინა რა და არ განერისხებინა. ილიას მუშაობას უყურებდა როგორც მღვდელთ-მოქმედებას და ამიტომ მის სამუშაო კაბინეტს ფეხაკრებით დასტრიალებდა, ახლო არავის მიაკარებდა. ყველას წელის ხმით უნდა ელაპარაკნა, რომ ილია არ შეეწუხებინა, მის მუშაობისთვის ხელი არ შეეშალა.“

იაკობ მანსვეტავშვილი, „მოგონებანი“

17 მარტის აქციის  
მონაწილე პედაგოგთა  
ვიქტორია  
საქართველოს  
პრეზიდენტის,  
საქართველოს  
პარლამენტის  
თავმჯდომარის,  
განათლებისა და  
მეცნიერების  
მინისტრის სსეულზე  
გვერდი 2

რას უიქროგენ  
ვეთოკეგეკლასელები

სახელმძღვანელოების,  
ეროვნული გამოცდების,  
რეპეტიტორების და  
თორმეტწლიანი  
სწავლების შესახებ

გვერდი 4

საქართველოს  
ისტორიის  
სახელმძღვანელო  
სტუდენტებისათვის

გვერდი 6-7

როგორ გაუმჯობესდეს  
სკოლებში  
განათლების ხარისხი  
გვერდი 10-11

17 მარტს პედაგოგებმა გაემართეთ აქცია განათლების რეფორმის მხარდასაჭერად და საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის პრეზიდენტის მანანა ლურჯუმელიძის წინააღმდეგ, რომელიც უკანონოდ ითვისებს ჩვენ მიერ გადახდილ საწევროებს.

იმავ დღეს, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის წევრი პედაგოგების სახელით, შევიდა საჩივარი გენერალურ პროკურატურაში მანანა ლურჯუმელიძის კორუფციული საქმიანობის ძიების დაწყების მოთხოვნით. გაკეთდა მიმართვა საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის და განათლებისა და მეცნიერების მინისტრის სახელზე. ასევე მოვუწოდებთ ყველა პედაგოგს, დატოვონ განათლების პროფკავშირის რიგები, ხოლო მანანა ლურჯუმელიძეს – შეწყვიტოს სპეკულირება და ვაჭრობა ჩვენი სახელით.

გიგ ზავნით პროკურატურაში შეტანილ საჩივარს, მიმართვის ტექსტებს როგორც პედაგოგების, ასევე საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის და განათლებისა და მეცნიერების მინისტრის სახელზე.

პატივისცემით  
მასწავლებელთა საინიციატივო ჯგუფი

პედაგოგების მიმართვა

საქართველოს პრეზიდენტს, გატონ მიხეილ სააკაშვილს პარლამენტის თავმჯდომარეს, გატონ დავით ბაძრაძეს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს, გატონ ნიკა გვარამიას

ბოლო პერიოდში გახშირდა მასწავლებელთა სახელის გამოყენება პოლიტიკურ ვაჭრობაში. პედაგოგების სახელით ლაპარაკობენ ადამიანები, რომელთაც ამის არანაირი მორალური უფლება არ გააჩნია.

საქართველოს ღირსეული, პროფესიონალი პედაგოგები ჰყავს. ნურავინ შექმნის ილუზიას, რომ მასწავლებელს სიახლეების ეშინია. მოგვეცით კვალიფიკაციის ამაღლების საშუალება და ჩვენ თავად შევძლებთ, ფეხი ავუწყოთ თანამედროვეობას. კატეგორიულად ვაცხადებთ, ჩვენს ხარჯზე გამდიდრებული პროფკავშირის ხელმძღვანელები ნუ გვიყენებენ თავიანთი მზაკერული მიზნების მიღწევისთვის.

მიგვაჩნია, რომ ჩვენ მიერ გაღებული პროფსაწევრო გადასახადი უნდა ემსახურებოდეს ჩვენსავე ინტერესების დაცვას. პროფკავშირში წლების მანძილზე დაგროვილი თანხები დღეს მასწავლებელს უნდა დაუბრუნდეს პროფესიული განვითარების კურსებისა და სოციალურ-სამართლებრივი ზრუნვის სახით. ასევე, არ შევევლებით იმას, რომ ჩვენი დაულაღავი შრომის ხარჯზე გამდიდრდნენ პროფესიული კავშირის ხელმძღვანელები.

დაბოლოს, ჩვენთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, თუ რა მიმართულებას იღებს განათლების რეფორმა, ამიტომ აქტიურად ვერთვებით სიახლეების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებაში.

მიმართვა საქართველოს პედაგოგებს

ამ ბოლო ხანებში ახალი ენერჯით ინყეს გააქტიურება ხალხის სახელით მოლაპარაკე უსაზღვრო ამბიციებით შეპყრობილმა სხვადასხვა პარტიულმა თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა. კერძო ინტერესებიდან გამომდინარე, ეს ადამიანები ცდილობენ, ქვეყნისთვის ურთულეს ჟამს, სახელმწიფო ინტერესს დაუპირისპირონ ეკონომიკურ შეჭირვებაში მყოფი ადამიანები. ყიამყრალთა ამ ფერხულში ერთ-ერთი სოლისტის როლს თავის თავზე იღებს ვინმე მანანა ლურჯუმელიძე, რომელიც საქართველოს ყველა მასწავლებლის სახელით უპირისპირდება განათლების სფეროს განვითარების პროცესს. ეს „ქალბატონი“, ვითომდა ეროვნული საქმისადმი თავგადასცემული მებრძოლი, სარგებლობს რა წესიერი ადამიანების მიამიტური ნდობით (ბევრ მათგანს უპირობოდ სჯერა, რომ პროფკავშირები უნაზღაურებს ბიულეტენს, უნახვევრებს საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ღირებულებას, იცავს მტარვალი დირექტორებისაგან, რომლებიც თურმე იმის ფიქრში ათენებენ და აღამებენ, თუ როგორ დაითხოვონ ისინი სამსახურიდან), აგულიანებს პედაგოგებს რეფორმის წინააღმდეგ. შფოთი და არეულობა შეაქვს სასწავლო დაწესებულებაში. ინტრიგებსა და პროვოკაციებში დაოსტატებული „ქალბატონი“ მანანა არ უშვებს ხელიდან, პედაგოგიურ საზოგადოებას გაუკუღმართებულად არ მიანდოს ინფორმაცია მიმდინარე საგანმანათლებლო რეფორმის შესახებ. ის უტიფრად ამტკიცებს, რომ რეფორმის მიზანი არაა სწავლების ხარისხის ამაღლება, არამედ პედაგოგთა სკოლიდან დათხოვნა.

საგანმანათლებლო რეფორმის განხორციელება რომ აუცილებელია, ამაში არ გვგონია ქუათმიყოფელ ადამიანს ეჭვი ეპარებოდეს. აბა, რომელ ოჯახს უნდა გაუნათლებელი შვილი. დღეს არსებული ვითარება კი ნამდვილად არ იძლევა სრულყოფილი და ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას და ამაში მარტო სახელმწიფოს დადანიშნულება, რბილად რომ ვთქვათ, უზნეობაა. ვინაიდან ჯერჯერობით სრულად ვერ ხერხდება არსებული ვითარების მკვეთრად გაუმჯობესება და სკოლა ვერ უზრუნველყოფს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი განათლების მიცემას, მშობელიც იძულებულია, შვილისთვის უკეთესი განათლების მისაცემად დამატებითი ხარჯი გასწიოს. თუმცა განა ყველა ოჯახს ძალუძს ამგვარი დამატებითი ხარჯების გაღება?!

ამ დროს კი „პედაგოგთა გულშემატკივარი“ ეს „ქალბატონი“, ნაცვლად იმისა, რომ მხარში ედგას განათლების ხარისხის ამაღლების საერთო ეროვნულ საქმეს, თავისი ქმედებით წინ უდგება ისედაც შეფერხებულ საგანმანათლებლო რეფორმას და მის ერთპიროვნულ მმართველობაში მოქცეულ, „მასწავლებელთა და მეცნიერთა თავისუფალ პროფკავშირს“, ამ საქმის მესვეურთა დასამანტაჟებლად იყენებს. მისი ასეთი ქმედებები კი ვითომდა მასწავლებელთა ინტერესების დაცვითაა გამოწვეული, სინამდვილეში კი, ლურჯუმელიძე უტიფრად აბითურებს პედაგოგებს და სხვა ყველა „სიკეთესთან“ ერთად, უსინდისოდ ითვისებს მათი ისედაც მცირე ხელფასიდან გაღებული საწევრო შენატანებს და თავისთვის უზრუნველ ცხოვრებას იწყობს (ძვირადღირებული მანქანები, ავარაკები, შვილებზე და სიძებზე გადაფორმებული მასწავლებლების საწევრო შენატანებით შეძენილი ქონება, საზღვარგარეთული ვოიაჟები და ნადიმები).

დროა, ბოლო მოელოს ექსკლუზიურ-მონოპოლისტური უფლებებით აღჭურვილი „ქალბატონისთვის“ ხარკის გადახდას. არ ვართ ვალდებული, ვიყო ვინმე ლურჯუმელიძის ორგანიზაციისთვის მუშა ფუტკრები. კანონი გასაგებად გვეუბნება, რომ ყოველგვარი საზოგადოებრივი ორგანიზაცია და მათ შორის პროფესიული კავშირიც, ნებაყოფლობითი ორგანიზაციაა და არავის არ აქვს უფლება, ახსნა-განმარტება მოგვთხოვოს, თუ რატომ გავდივართ ან არ გვსურს ვიყო ისეთი მავიოზური ორგანიზაციის წევრები, როგორც ლურჯუმელიძის პროფკავშირია.

მიგვაჩნია, რომ დაწყებული რეფორმის შეჩერება საზიანო იქნება მომავალი თაობისათვის. ყველა იმ პედაგოგს კი, რომელიც საკუთარ თავთან დაუზარელად მუშაობს და სისტემატურად იმაღლებს ცოდნასა და კვალიფიკაციას, არ ეშინია საგანმანათლებლო რეფორმის განხორციელების. ჩვენ ვთვლით, რომ ხელისუფლებამ ყველა ღონე უნდა იხმაროს რეფორმის დროულად და სრულყოფილად განსახორციელებლად, რაც აუცილებლად აისახება პედაგოგების ხელფასზე და სოციალურ მდგომარეობაზე!

პედაგოგებო, გავაცნობიეროთ, რომ საგანმანათლებლო რეფორმის გარეშე ჩვენი სამშობლო წინ ვერ წავა. მცირერიცხოვანი ერისთვის გადარჩენის მხოლოდ ერთადერთი გზა არსებობს და ეს გზა განათლებაზე გადის. ლურჯუმელიძე თუ მისი მსგავსნი კი ამ საქმეს წინ ვერ აღუდგებიან!

საქართველოს იუსტიციის მინისტრს, გატონ ზურაბ ადღიშვილს

მთავარ პროკურორს, გატონ მამუკა გვარამიას

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის წევრი პედაგოგების, ნინო ბელაშვილის, მერი გვასალიას, ლილა ტურძელაძის (მის: თბილისი, სან-ჯონა, მრწოს ძუჩა, კორპუსი 6, პინა 8.)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გაცნობებთ, რომ ვართ საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის (სპმპ) წევრები. საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალ პროფკავშირს ხელმძღვანელობს მანანა ლურჯუმელიძე, რომელმაც საოჯახო ბიზნესად აქცია პედაგოგთა პროფკავშირები. ყოველთვიურად ამ ორგანიზაციის ანგარიშზე ირიცხება ორგანიზაციის დაახლოებით 110 000 წევრის ხელფასის 1%. ჩვენ, როგორც ამ ორგანიზაციის წევრები, ვიხდით ყოველთვიურ საწევროს, ხელფასის 1%-ის ოდენობით.

გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ განათლების პროფკავშირის პრეზიდენტი მანანა ლურჯუმელიძე საწევრო გადასახადებით მიღებულ შემოსავალს განკარგავს კანონსაწინააღმდეგო ფორმებით. ვფიქრობთ, რომ ჩვენ მიერ გადახდილი საწევრო შემოსავლების განკარგვა არ არის გამჭვირვალე. როგორც ამ ორგანიზაციის წევრები, დავინტერესდით პროფკავშირის საქმიანობით. გამოვარკვიეთ რამდენიმე კანონსაწინააღმდეგო ქმედება, რომელიც საგულისხმოა და საჭიროებს სამართალდამცავი ორგანიზების მიერ საქმის შესწავლას. კერძოდ:

- 1. საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალ პროფკავშირის წესდების პირველი მუხლის 1.1. პუნქტში აღნიშნულია, რომ საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალ პროფკავშირში შექმნილია „საქართველოს განათლების მუშაკთა პროფესიული კავშირის“ და „საქართველოს მასწავლებელთა თავისუფალი პროფკავშირის“ („სოლიდარობის“) შეერთების გზით მათი როგორც ორგანიზაციის საფუძველზე. საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალ პროფკავშირის შექმნის შემდეგ, „საქართველოს განათლების მუშაკთა პროფესიული კავშირის“ და „საქართველოს მასწავლებელთა თავისუფალ პროფკავშირის“ („სოლიდარობის“) აღარ უნდა ეარსებებ. მაგრამ როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა „სოლიდარობა“ პარალელურ რეჟიმში დღემდე ფუნქციონირებს და ირიცხება საწევროები პედაგოგებისაგან, რომელიც ბიუჯეტში არ ფიქსირდება. გაურკვეველია, რას და ვის ხმარდება ეს თანხები. ჩვენი ინფორმაციით, ეს თანხა დღეის მდგომარეობით შეადგენს, დაახლოებით, 18 000 ლარს.

- 2. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალ პროფკავშირის შემოსავალი საკმაოდ დიდია, ხოლო მასწავლებლებზე უკან ერთჯერადი დახმარების ან/და სამედიცინო მიზნით გაცემული თანხები ძალიან მცირე, ჩვენ მიერ მოპოვებულ იქნა ამ ორგანიზაციის 2008 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი და მასში შეტანილი ცვლილებები. „პროფესიული კავშირების შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის და სპმპ-ის წესდების მე-2 მუხლით განსაზღვრული მიზანი – თავისი წევრების შრომითი, სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი უფლებების დაცვა, არანაირად არ ჩანს დამტკიცებული ბიუჯეტის მუხლებში, გარდა იურიდიული დახმარებისა, პროფსწავლებისა. სამაგიეროდ ჩანს სპმპ-ს აპარატის თანამშრომელთა მივლინებები, მათი სოციალური დახმარებები, აღმასრულებელი საბჭოს სხდომების დაფინანსება, სპმპ-ის პრეზიდენტის ფონდი და სხვა. ეს კი ადასტურებს, რომ ისედაც გაჭირვებული და მცირეხელფასიანი მასწავლებლების ხარჯზე, საკუთარ კეთილდღეობას კარგად იწყობენ ცალკეული პირები და არ აღეგულებიან მასწავლებლებს.

- 3. ძალზე მნიშვნელოვანია ისიც, რომ საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალ პროფკავშირის წესდების მე-5 მუხლის მიხედვით, მართვის უმაღლესი ორგანოა სპმპ-ის ყრილობა. ამავე მუხლის 5.5 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, ყრილობის კომპეტენციას განეკუთვნება - სპმპ-ს წლიური ბიუჯეტისა და შესრულების შედეგების განხილვა-დამტკიცება. სპმპ-ს 2008 წლის ბიუჯეტი კი დამტკიცებულია და შემდგომში შეტანილია ცვლილება არა ყრილობის, არამედ აღმასრულებელი საბჭოს მიერ, რაც უკანონოს ხდის ბიუჯეტის ყველა მუხლს. აღნიშნული ქმედება წარმოადგენს უფლებამოსილების გადამეტებას ორგანიზაციის პრეზიდენტის მხრიდან (წესდების 6.5 პუნქტი).

- 4. ამავე ბიუჯეტში ერთ მუხლად ჩასმულია „ქვიშხეთის გასხვისებიდან მიღებული შემოსავალი“, რაც, ვფიქრობთ, საეჭვოს ხდის ამ ობიექტის გასხვისების გარემოებებს. ჩვენი აზრით, შესასწავლია გასხვისების კანონიერებაც (მაგ: შენობების საბაზრო ღირებულება).

- 5. ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ პროფკავშირის პრეზიდენტმა იჯარით გასცა ორგანიზაციის საკუთრებაში არსებული წყნეთის მასწავლებელთა სახლის სასადილო. თუ გავითვალისწინებთ ამ ობიექტის ფართობს, დანიშნულებასა და ადგილმდებარეობას, მისი საიჯარო ქირა საბაზრო ღირებულების გათვალისწინებით უნდა აღემატებოდეს 5000 ლარს. ასეთ შემთხვევაში, სპმპ-ის წესდების 6. 2 პუნქტის თანახმად, იჯარით გაცემის გადაწყვეტილების მიღება აღმასრულებელი საბჭოს კომპეტენციაა. ვთვლით, აქ კანონდარღვევასთან გვაქვს საქმე.

ვინაიდან ჩამოთვლილი ფაქტები შეიცავს სისხლის სამართლებრივი დარღვევის ნიშნებს, გთხოვთ, პროკურატურამ დაიწყოს გამოძიება. ვითხოვთ, თქვენს დახმარებას, რათა გამოძიებულ იქნას ჩვენი საწევრო გადასახადებით მიღებული შემოსავლების ხარჯვის კანონიერება.

დანართი:

- 1. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
- 2. სპმპ-ს წესდება
- 3. სპმპ-ს 2008 წლის ბიუჯეტის ასლი
- 4. სპმპ-ს 2008 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შესახებ ინფორმაცია

პედაგოგები:

ნინო ბელაშვილი  
მერი გვასალია  
ლილა ტურძელაძე

17.03.2009



თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტი

თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის ძირითადი მიზანია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ცოდნის გავრცელება და კვალიფიციური კადრების მომზადება.

თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტი გამოირჩევა სწავლების მაღალი სტანდარტით, ხოლო სასწავლო პროცესი ეფუძნება საკუთარ და საერთაშორისო სამეცნიერო კვლევებს.

თბილისის ჰუმანიტარულ უნივერსიტეტს მჭიდრო უნივერსიტეტაშორისო კონტაქტები აქვს დამყარებული საქართველოს და უცხოურ საგანმანათლებლო ცენტრებთან.

თბილისის ჰუმანიტარულ უნივერსიტეტში ფუნდციონირებს შემდეგი ფაკულტეტები:

- სამართლის ფაკულტეტი;
ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი;
ჰუმანიტარული ფაკულტეტი;
ჯანდაცვის ფაკულტეტი.

საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო პროგრამები

1. თბილისის ჰუმანიტარულ უნივერსიტეტში რეალიზებული საბაკალავრო პროგრამები:

სამართლის საბაკალავრო პროგრამა (სპეციალიზაცია: სამართალმცოდნეობა);
სტუდენტებს ენიჭებათ სამართალმცოდნეობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი; სწავლის ხანგრძლივობაა 4 წელი.

ბიზნესისა და მართვის საბაკალავრო პროგრამა (სპეციალიზაციები: საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმე; მენეჯმენტი და ადმინისტრირება); სტუდენტებს ენიჭებათ ბიზნესისა და მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი; სწავლების ხანგრძლივობაა 4 წელი.

ჰუმანიტარული საბაკალავრო პროგრამა (სპეციალიზაცია: ფილოლოგია, ქვესპეციალიზაცია: ინგლისური ენა და ლიტერატურა); სტუდენტებს ენიჭებათ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი; სწავლების ხანგრძლივობაა 4 წელი.

2. თბილისის ჰუმანიტარულ უნივერსიტეტში რეალიზებული დიპლომირებული მდიონის საგანმანათლებლო პროგრამა, სპეციალიზაციით: სტომატოლოგია; სწავლების ხანგრძლივობაა 5 წელი.

საკონტაქტო ინფორმაცია: საქართველო 0186, თბილისი, სანდრო ეულის ქ. №3, შენობა №10 (ძირითადი შემოსასვლელი: ქავთარაძის ქუჩის დასაწყისში, ჯიქიას ქუჩიდან).
ტელ: (+995 32) 54-59-09, 54-59-08. ფაქსი: (+995 32) 54-59-09. ელფოსტა: thu\_ge@rambler.ru ვებგვერდი: www.thu.edu.ge

3. თბილისის ჰუმანიტარულ უნივერსიტეტში რეალიზებული სამაგისტრო პროგრამები:

- კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამა;
საჯარო სამართლის სამაგისტრო პროგრამა;
ფინანსებისა და კრედიტის სამაგისტრო პროგრამა;
სამაგისტრო პროგრამა: მენეჯერი ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში;
სახელმწიფო ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა;
ინფორმაციული მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა;
ფინანსებისა და კრედიტის სამაგისტრო პროგრამა;
ანგლისტიკა/ამერიკანისტიკის სამაგისტრო პროგრამა;
რუსული და სლავური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა.

4. თბილისის ჰუმანიტარულ უნივერსიტეტში ფუნდციონირებს სამართლის ფაკულტეტისა და ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის დოქტორანტურები და სადისერტაციო საბჭოები. შემოთავაზებულია სპეციალიზაციის ცალკეული სადოქტორო პროგრამები (180 კრედიტი)

ჩვენთან სწავლების უპირატესობები

- დაუსწრებელი სწავლების ფორმა (ქართული და რუსული სექტორები);
ორი სამკითხველო დარბაზი;
კომპიუტერული კლასი, ინტერნეტში თავისუფალი შეღწევით;
ელექტრონული ბიბლიოთეკა 5000 წიგნით;
ბიბლიოთეკა 4000-მდე წიგნით და ელექტრონულ მატარებლებზე დატანილი სახელმძღვანელოებით.



დამატებითი უპირატესობები

- იურიდიული კლინიკა;
კრინინალისტიკური ლაბორატორია;
ლინგვაფონური კაბინეტი;
საკონფერენციო დარბაზი
ვიდეოკონფერენციის სისტემით;
სტომატოლოგიური ლაბორატორია.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
კავკასიის ქვეყნების სამეცნიერო-საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელები
GEANT-ში (ჯინეტ-ში) გაერთიანდნენ
BSI-ის დახმარებით, 150 000-მდე მკვლევარი და სტუდენტი უმაღლესი ხარისხის ქსელურ რესურსებს გამოიყენებს.

TSC შპს „ტექსერვისცენტრი“
კომპიუტერული, საოფისო და საყოფაცხოვრებო ტექნიკის სერვისი
სასწავლო დაწესებულებებისთვის
ფასდაკლება 20%, ადგილზე მომსახურება, უფასო დიაგნოსტიკა
კარტრიჯების აღდგენა.
პრინტერების შეკეთება.
კოპირების შეკეთება.

გამოკითხვა

# რას ფიქრობენ მეთორმეტკლასელები სახელმძღვანელოების, პროფული გამოცდების, რეპეტიტორების და თორმეტწლიანი სწავლების შესახებ



№28 საჯარო სკოლა (ოძრეხანის)

**თონა მიკიტუმაშვილი:** ძალიან მომწონს ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელო. აქ საუბარია ისეთ აქტუალურ თემებზე, როგორცაა, მაგალითად, ადამიანების ურთიერთობები, ერთი ასეთი თემაცაა – სიკვდილი და ა.შ. ისეთი თემებიცაა, რომლებიც ჩვენს თანამედროვეებს ეხმაურება და მომავალში აუცილებლად გამოგვადგება ჩვენი საქმიანობის დაგეგმვაში, ადამიანებთან ურთიერთობის მონერსიგებაში. თუმცა ისიც მინდა ვთქვა, რომ უკეთესი იქნებოდა, ზოგიერთი საკითხი X-XI კლასებში გვესწავლა, ამით XII კლასის ისედაც დატვირთული პროგრამა განიტვირთებოდა და ეროვნული გამოცდებისათვის მოსამზადებლად მეტი დრო გვექნებოდა. იმავეს ვიტყვი, მაგალითად, მათემატიკის სახელმძღვანელოზე, ძალიან დიდი მასალაა XII კლასის სახელმძღვანელოში. რაც მთავარია, სრულიად განსხვავებულია ეროვნული გამოცდებისა და XII კლასის პროგრამები. ამიტომ, ქართულის გარდა, ყველა საგანში ვემზადები.

**სალომე კვიციანი:** XII კლასის სახელმძღვანელოები ნამდვილად კარგია, განსაკუთრებით ქართულის, მაგრამ ჩვენ ხომ დროში ძალიან შეზღუდვები ვართ. ამიტომ ამდენი უცხოელი მწერლის შესწავლის დრო ნამდვილად არ გვაქვს, თუმცა, თავისთავად, ეს არაა ცუდი, ცუდი ისაა, რომ „ქართული ლიტერატურის“ სახელის ქვეშ გაერთიანებულია, ფაქტობრივად, საზღვარგარეთის ქვეყნების ენციკლოპედია. სრულებით არ ემთხვევა მათემატიკის, უცხო ენების და ქართულის სასკოლო პროგრამები ეროვნული გამოცდების პროგრამებს, სწორედ ამიტომ ვხდებით იძულებულნი, მივმართოთ რეპეტიტორებს. მაგალითად, ახლა გავდივართ „თორნიკე ერისთავს“, რომელთანაც შეხება არ გვქონია წინა კლასებში. შარშან მათემატიკაში იმდენი ძალისხმევა მოვანდომეთ „ინდუქციის“ შესწავლას და გამოვდის, რომ ტყუილად, საგამოცდო პროგრამაში სულაც არ არის ეს საკითხი.

**ქრისტინე ზაქარაია:** მეც იმავეს ვიტყვი, რასაც ჩემი კლასელები ამბობენ, კარგი წიგნები გვაქვს, მაგრამ არა როგორც სახელმძღვანელოები. მასწავლებლები ცდილობენ, ის თემები და საკითხები შევასწავლონ, რაც მისაღები გამოც-

დების პროგრამითაა გათვალისწინებული.

**თემურ ხაუბა:** ყველაფერ იმის გათვალისწინებით, რასაც ჩემი კლასელები ამბობენ, XII კლასი ერთი წლის დაკარგვას ჩვენთვის. ქართულის სახელმძღვანელო მართლაც რომ უნიკალური წიგნია, მაგრამ რატომ არ გაითვალისწინებს ავტორებმა, რომ წელს ჩვენთვის კონკრეტული თემები და საკითხები აუცილებელია, უცხოელი მწერლების ნაკითხვას მერეც მოვასწრებთ. ჩვენ ისეთი კარგი ქართულის მასწავლებელი გვყავს, ისე გასაგებად და საინტერესოდ გვიხსნის ყველაფერს, თავისუფლად შეიძლება რეპეტიტორი არც დაგვჭირებოდეს.

**მონიკა ზაქარაია:** XII კლასი ამ სახით არ უნდა ყოფილიყო, თორემ ისე წინააღმდეგი არ ვარ, კარგია. მეგონა XII წელი აბიტურიენტების დასახმარებელი, მოსამზადებელი წელი იქნებოდა, თუნდაც უნარებში. სხვა საგნებშიც იმ პროგრამით ვისწავლიდით, რაც ეროვნულ გამოცდებზე ბარდება. ჩემი აზრით, ბავშვს, რომელიც 11 წლის განმავლობაში კარგად სწავლობს, არ უნდა დასჭირდეს რეპეტიტორი, მაგრამ ჩვენი სახელმძღვანელოები ისეა შედგენილი, რომ სხვა გზა აღარ გვჩნდება. ისეთი კარგი მასწავლებელი გვყავს ქართულში, რომ მის მოსწავლეს მომზადება ნამდვილად არ უნდა სჭირდებოდეს, მაგრამ ზოგი ისეთი საკითხი და მწერალია საგამოცდო პროგრამაში, რაც არ გავივლია, ამიტომ რეპეტიტორი აუცილებელია. როცა ნასწავლ თემას გავდივართ, შეიძლება ითქვას, რომ ვისვენებ, ისე კარგად მაქვს თავის დროზე ნასწავლი. ასევეა მათემატიკაშიც და ინგლისურშიც.

**ანა მარტიაშვილი:** ჩემმა კლასელებმა, ძირითადად, ქართულისა და მათემატიკის სახელმძღვანელოზე ისაუბრეს. მათ მოსაზრებებს მეც ვიზიარებ, ამიტომ ამ საგნებს აღარ შევხები. იგივე პრობლემა ინგლისურის სახელმძღვანელოშიც – წიგნი ნამდვილად გვეხმარება ლექსიკური მარაგის გამდიდრებაში, მაგრამ ეს ხომ არაა საკმარისი საერთოდაც და მით უმეტეს ეროვნული გამოცდების წარმატებით გავლისთვის, წიგნი ძალიან მწირია გრამატიკული მასალა. ამიტომაც იძულებული ვართ, რეპეტიტორთან მოვემზადოთ.

**მარიკა დავაძე:** ინგლისურის სახელმძღვანელო მართლაც კარგი სახელმძღვანელოა. ძალიან საინ-

ტერესოდაა მოწოდებული სხვადასხვა თანამედროვე თემები, მაგალითად, ჩაცმულობა, მეტყველების მანერა, რას ფიქრობენ ყოველივე ამის შესახებ ქართველი და უცხოელი მოზარდები. სალაპარაკო ენის შესწავლისთვის ეს მართლაც კარგი მეთოდია, მაგრამ, როგორც ანამ აღნიშნა, გრამატიკა ძალიან მცირე დოზითაა.

რაც შეეხება სხვა საგნებს, მე, მაგალითად, ისტორია-გეოგრაფიას ვაბარებ. ეროვნულ ცენტრში საცდელი გამოცდები რომ გავიარე, ისეთი საკითხები იყო შეტანილი საგამოცდო ტესტებში, რომლებიც V-VI კლასში გავიარეთ და ისიც ნანობრივ, XII კლასში ეს საკითხები საერთოდ არ ისწავლება. ვფიქრობ, ეს აუცილებლად უნდა გამოსწორდეს.

**თონა მიკიტუმაშვილი:** XII კლასის დამატების წინააღმდეგი არ ვარ, პირიქით, ეს კარგია, თუ ჩვენს შენიშვნებს გაითვალისწინებენ. თუ ბავშვი რომელიმე უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელებას აპირებს და სკოლაში კარგად სწავლობს, მას რეპეტიტორის გარეშე უნდა შეეძლოს ეროვნული გამოცდების ჩაბარება. ვფიქრობ, ეს არ იქნება ძნელი, თუ საგამოცდო და სასკოლო პროგრამები ერთმანეთს დაემთხვა, ვერაფერს შეძლებს პარალელურ რეჟიმში სკოლისთვისაც ისწავლოს გაკვეთილები და გამოცდებისთვისაც ემზადოს. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში არიან ის ბავშვები, ვისაც მატერიალური შესაძლებლობა არ აქვთ, რომ რეპეტიტორებთან იარონ. ეს საკითხი სამომავლოდ მაინც თუ მოგვარდება და კარგი მოსწავლე რეპეტიტორის გარეშე შეძლებს ეროვნული გამოცდების ჩაბარებას, ამით არა მარტო სკოლის, არამედ უნივერსიტეტების დონეც საგრძნობლად გაიზრდება.

## მცხეთის რაიონის სოფელ კეგვის საჯარო სკოლა

**მერი თაბუაშვილი:** უმჯობესია, თუ XII კლასის პროგრამა ერთიანი ეროვნული გამოცდების შესატყვისი იქნება, რადგანაც სკოლაშიც უფრო მეტს ვისწავლიდით და გავვიადვილებოდა ჩაბარება. ჩემი აზრით, XII კლასი არ უნდა იყოს, რადგანაც პროგრამა ერთი და იგივეა და, უბრალოდ, შეუძლებელია სკოლაში სიარული და გამოცდებისთვის მომზადება, ამდენი დრო ნამდვილად არ მაქვს. XII კლასი არ უნდა იყოს და, თუ არის, მაშინ ისეთი პროგრამით უნდა ვისწავლოთ, რომ აბიტურიენტს გაუადვილდეს ჩაბარება.

**ნაზი როსტიაშვილი:** ჩემი აზრით, XII კლასი არ ამართლებს, რადგან თითქმის არავინ დადის და სწავლითაც დიდად არ გამოირჩევიან. XII კლასი მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა გაგრძელდეს, თუ ეროვნული გამოცდებისთვის მოამზადებს ბავშვებს, რადგან უმრავლესობა აბარებს.

რეპეტიტორთან მომზადებას რაც შეეხება, ამ ბოლო წლებში ძალიან აქტუალური გახდა, დიდი უმრავლესობა ემზადება. ვფიქრობ, რომ აბიტურიენტს შეუძლია თვითონ მოემზადოს და სცადოს ბედი.

XII კლასში შესასწავლი საგნებიდან გამოვარჩევი ქართულს, ძა-

ლიან კარგადაა შედგენილი. დანარჩენ საგნებში განვლილი წლების მასალაა შეტანილი. ქართულში კი სიასხლეა – ქართველ მწერლებთან ერთად, უცხოელი მწერლების ნაწარმოებებიც ისწავლება.

**ნინო ყვანაძე:** XII კლასის სახელმძღვანელოები ძალიან საინტერესოდ არის შედგენილი, მაგრამ იმის გამო, რომ დრო არ მაქვს, ვერ ვახერხებ სწავლას და სკოლაში ხშირად სიარულს, რადგან ვემზადები რეპეტიტორებთან. ვაპირებ მათემატიკის ჩაბარებას, სახელმძღვანელოში მოცემული საკითხების გაგება რეპეტიტორის გარეშე შეუძლებელია. სახელმძღვანელოების მოცულობა დიდია, მაგრამ მათში გამეორებაა წინა წლების მასალის და ახლებური მიდგომითაა განხილული ესა თუ ის საკითხი.

ჩემი აზრით, XII კლასის დამატება არასწორი იყო. დროის უაზრო კარგადაა. კარგი იქნება, თუ XII კლასს მოხსნიან.

რაც შეეხება სახელმძღვანელოების მოწოდებას, მე პირადად, მომწონს ქართულის სახელმძღვანელო, რადგან მასში ქართველი მწერლების გარდა, შეტანილია უცხოელი მწერლების აზრები და შეხედულებები. ასევე მომწონს მათემატიკის სახელმძღვანელო, მაგრამ მასში თითქმის იგივე საკითხებია, რაც იყო წინა წლებში, ოღონდ უფრო გაღრმავებულია.

**მაია ფირანაშვილი:** ქართულის სახელმძღვანელოში განსაკუთრებით ის არ მომწონს, რომ უცხოელი მწერლები და მათი ნაწარმოებებია შეტანილი.

არ ვეთანხმები იმ აზრს, რომ დაუშვებს მეთორმეტე კლასი, რადგან იკარგება ერთი წელი არასრულფასოვანი სწავლებით. მიმაჩნია, რომ მეთორმეტეკლასელი იმ უნივერსიტეტში უნდა ემზადებოდეს, სადაც ტარდება ერთიანი ეროვნული გამოცდები და არ უნდა იცვლებოდეს ყოველ წელს ეროვნული გამოცდების პროგრამა, რადგან ეს ხელს უშლის გამოცდებისათვის მზადებას.

**თონა ზარიძე:** ჩემი აზრით, XII კლასის არსებობა სულაც არ არის აუცილებელი. ყველაფერში ევროპის მიზანძვე კარგს არაფერს გვიქადას. როგორც ჩემთვის არის ცნობილი, XII კლასის აუცილებლობა სწორედ ევროსტანდარტებთან გათანაბრების „აუცილებლობამ“ განაპირობა. ჩემი აზრით, XII კლასი უნდა იყოს არჩევითი. ვინც ევროპაში აპირებს სწავლის გაგრძელებას, XII კლასი მათ უნდა აირჩიონ, ვინც არა და – დაამთავროს XI კლასი.

რეპეტიტორთან მომზადებას რაც შეეხება, ბოლო დროს დამკვიდრდა აზრი, რომ მომზადების გარეშე უმაღლესში ჩაბარება შეუძლებელია, რაც სკოლაში სწავლების დაბალმა დონემ განაპირობა. ჩემთვის სკოლაში სიარული და პარალელურად რეპეტიტორთან მომზადება მიუღებელია. სკოლაში იმით დავდივართ, რომ განათლება მივიღოთ და აქედან გამომდინარე, ატესტატშიც კარგი ნიშნები გვქონდეს.

საგნებს რაც შეეხება, ქართულის გარდა ყველა საგანი, თითქმის, წინა წლებში განვლილი მასალის გამოვრებაა. ყველაზე მეტად სწორედ ქართულის სახელმძღვანელო მომწონს. მომწონს ის, რომ ამა თუ იმ საკითხისადმი, ქართველების მოსაზრებებია მოყვანილი.

**ნონა მაკარაშვილი:** ჩემი აზრით, მოსწავლის განათლებაზე პასუხისმგებელი სკოლა უნდა იყოს. მას აღარ უნდა სჭირდებოდეს რეპეტიტორი იმისათვის, რომ ეროვნული გამოცდები წარმატებით ჩააბაროს. აქედან გამომდინარე, სკოლის წარჩინებული მოსწავლე ეროვნულ გამოცდებს წარმატებით უნდა აბარებდეს, მაგრამ ეს არ სჭირდება, რადგან სასკოლო პროგრამა განსხვავდება ერთიანი ეროვნული გამოცდების პროგრამებისგან.

ვფიქრობ, რომ XII კლასი უქმად დაკარგული წელია, რადგან ჩვენ, ფაქტობრივად, ამ წელს ახალი არაფერი შეგვიწავლია. სასკოლო პროგრამა, ძირითადად, შედგენილია X-XI კლასების სახელმძღვანელოების საფუძველზე.

პირადად მე, გული მწყდება ამ ერთი წლის ფუჭად დაკარგვის გამო, რადგან შეიძლებოდა, ეს წელი ჩემთვის უფრო შედეგიანი ყოფილიყო.

განათლების სისტემაში ჩემთვის ბევრი რამაა მიუღებელი, თუმცა, ყველაზე დიდ შეცდომად მიმაჩნია სასკოლო და საგამოცდო პროგრამების განსხვავება.

მიუხედავად იმისა, რომ XII კლასის მომხრე არ ვარ, ვფიქრობ, შეიძლებოდა ეს წელი სკოლაში უფრო ნაყოფიერი ყოფილიყო. კარგი იქნებოდა, ესწავლებინათ საგამოცდო პროგრამის მიხედვით.

ამასთანავე, თავს კომფორტულად ვიგრძნობდი, თუ სკოლას წესრიგში ექნებოდა სავარჯიშო დარბაზები, აგრეთვე, განვითარებული ყოფილიყო სპორტის სხვადასხვა სახეობები.



# ენტოუზიასტი კედაგობები არ გადახედავლან

# დიდი მადლობა ყურადღებისთვის

ალბათ ყველა პედაგოგმა იცის ვაბრეილა მისტრალის სახელი, რომელსაც 1945 წელს მიენიჭა ნობელის პრემია.

რატომ გავიხსენებ დღეს ის? იმიტომ, რომ კიდევ ერთხელ შეგახსენოთ მისი გულისმომჭერელი სიტყვები უფლისადმი აღვლენილი: „მომხდელე ნიჭი სიყვარულისა, შემადღებინე, რომ დედაზე უფრო დედა გავუხდე, დედასავით შევითვისო და დავიცვა ისინი, ვინც არის ხორცი ხორცთაგანი და სისხლი სისხლთაგანი ჩემი... შენ გაუმარჯვე ჩემს სახალხო სკოლას, რათა მისმა ბრწყინვალეობამ გზა გაუნათოს შენი ღატაკი, ფეხშიშველა ბავშვების გუნდს“.

მართალია, დღეს ჩვენი ბავშვები ფეხშიშველა არ დადიან, მაგრამ, არც ძალიან განვითარებული არიან. უჭირს ქვეყანას, უჭირს სკოლას...

სწორედ ასეთ დროს ქვეყანაც და ხალხიც ენთუზიასტი პედაგოგების იმედზე უფროა, ვიდრე მწყობრი და ჩამოქნილი განათლების სისტემისა (რაც, დამეთანხმებით, ნამდვილად არ გვაქვს).

დღეს საზოგადოებას არ სწამს ასეთი პედაგოგების არსებობისა. ერთხელ, სატელევიზიო გადაცემაში, ერთ-ერთმა მშობელმა სკოლას „ნეგატიური მოვლენაც“ კი უწოდა. ვიკეტი ტელევიზორის ეკრანთან გულმოკლული და უკვე მერამდენედ ვფიქრობდი, რომ პედაგოგობა ყველაზე უმადური პროფესიაა. მაგრამ ხდება რაღაც ისეთი, რომ უარყოფით ემოციებს დაიოკებ და იმედი გექლევა, რომ ყველა ასე არ ფიქრობს. ერთ-ერთი XI-კლასელი სხვა სკოლაში გადავიდა ჩვენთან, უფრო პრესტიჟულ სკოლაში. ერთ თვეში უკან დაბრუნდა: გეოგრაფიის გაკვეთილები მომენატრაო.

სწორედ გეოგრაფიის მასწავლებელზე – ვიკა ვიტმანზე – მინდა გესაუბროთ. ის 44-ე საჯარო სკოლაში ასწავლის.

რატომ მომივიდა აზრად მე, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს, დამენერა სწორედ მასზე? ალბათ, იმიტომ, რომ მხოლოდ პედაგოგს შეუძლია, დაინახოს ის უშრეტო ენერჯია, კოლეგას რომ აქვს. გარწმუნებთ, ეს არც პირადი მეგობრობით მომსვლია და არც მოჭარბებული სიმპათიით. ნებისმიერი თქვენგანი რომ სკოლაში მომჩანდეს და მოსწავლეებს ჰკითხოს, რომელი გაკვეთილი მიაჩნიათ ყველაზე საინტერესო, ერთ-ერთად აუცილებლად გეოგრაფიას დაასახელებენ.

ძალიან დასანანია, რომ სასწავლო-მეცნიერებრივი კონფერენცია, რომელიც ქალბატონმა ვიკამ ახლახან ჩაატარა 44-ე საჯარო სკოლაში, მხოლოდ სკოლის კედლებში დარჩა. მერმუნეთ, საქართველოს არც ერთი სკოლა უარს არ იტყოდა, უბრალოდ, მაყურებლისა და მსმენელის როლში მაინც გამოსულიყო.

კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს IX, X და XI კლასელებმა. თავიანთი ნამუშევრები წარმოადგინეს და წინასწარ არჩეული და მომზადებული მასალის პრეზენტაცია მოაწვეს. იყო უამრავი ფოტომასალა (პლაკატების სახით), კომპიუტერში განთავსებული სლაიდები, გაფორმებული შესაფერისი მელოდებით და ვიდეომასალა. საკონფერენციო მასალები აკინძული ჰქონდათ საქალაქო და თანდართული რუკებით, ცხრილებითა და ფოტოლოკუშებით.

განსაკუთრებული მონონება დაიმსახურა ნაშრომებმა, რომლებიც შესრულებული იყო პირადი დაკვირვებისა და მოგზაურობის შედეგად. ასე მაგალითად, ნინო ვარდოსანიძის „მოგზაურობა ტაო-კლარჯეთში“, ლაშა ლვინაძის „მოგზაურობა ბავარიამი“, თამაზ არევაძის „ზღვისპირა აჭარა“, ნათია ბედიას „საინგილო-ჰერეთი“, ივანე ჯავახიშვილის „კავკასიონი“. მათ სწორედ პირადი დაკვირვების საფუძველზე გამოტანილი დასკვნები წარუდგინეს საზოგადოებას.

IX კლასმა წარმოადგინა ჯგუფური ნაშრომი „XVIII-XIX საუკუნის ქართველი მოგზაურები“.

თეორიის ნევრების გაკვირვება გამოინვია მოსწავლეთა მიერ მოპოვებულმა ზღვა ინფორმაციამ, რომელიც კვალიფიციურად იყო დამუშავებული და გემოვნებით გაფორმებული, რისთვისაც მადლობა დაიმსახურა კონფერენციის თითოეულმა მონაწილემ და, რა თქმა უნდა, ქალბატონმა ვიკამ თავის მოსწავლეებთან ერთად განეული შრომისათვის.

მე კი... მე მხოლოდ გაბრეილა მისტრალის ერთ-ერთ ვედრებას გავიხსენებ ისევ, რომელსაც, დარწმუნებული ვარ, ქალბატონი ვიკაც სიამოვნებით შეუერთდება: „შენ შემეჩიე, უფალო, რომ ქვით ნაშენები ეგ ჩემი სკოლა სულიერად აშენდეს და აღორძინდეს“.

საზოგადოებას კი ვთხოვ, ირწმუნოს: „ენტოუზიასტი პედაგოგები არ გადახედავლან. სწორედ ისინი გადაარჩენენ ჩვენს ქვეყანასა და ქართულ სულიერებას“.

**აზა ძაღარია**  
თბილისის 44-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

ავგისტოს ავადმოსაგონარი დღეების შემდეგ, როდესაც დიდი და პატარა ლიხვის ხეობის მოსახლეობა იძულებული გახდა, დაეტოვებინა სახლ-კარი და თავშესაფარი ეძებნა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, პირველი, ვინც ამ გაუბედურებულ პედაგოგებს დახმარების ხელი გაუწოდა და იმედის ნაპერწკალი გაუჩინა, იყო საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის პრეზიდენტი, ქალბატონი მანანა ლურჯუმელიძე (რომელიც იმ დროს იმყოფებოდა შევებულბაში). დაბრუნდა თბილისში და მხარში ამოუდგა პედაგოგებს, ფულადი დახმარება გაუწია თითოეულს 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. მისი დახმარება მარტო ამით არ ამონურულა: წყნეთის პედაგოგთა სახლში დაისვენეს პედაგოგების შეილებმა და ორსულმა პედაგოგებმა.

ახლა, როდესაც სახელმწიფომ დევნილ მოსახლეობას თავშესაფარი აუშენა, კვლავ პირველი, ვინც ინიციატივა გამოიჩინა პედაგოგების დახმარებლად, ისევ ქალბატონი მანანა ლურჯუმელიძეა. მან კიდევ ერთხელ გაახარა გორში, კოტეჯებში ჩასახლებული პედაგოგები – თითოეულს გადასცა ფულადი დახმარება 100 (ასი) ლარის ოდენობით. ეს დახმარება მიიღეს არა მარტო იმ პედაგოგებმა, რომლებიც გაერთიანებული არიან პროფკავშირში, არამედ ისეთმა პედაგოგებმაც, რომლებმაც, როგორც ახლა თვლიან, მცდარი ნაბიჯი გადადგეს და პროფესიული კავშირის რიგები დატოვეს. ასეთი სკოლები ორივე ხეობაში აღმოჩნდა ორი – კეხვის და აჩაბეთის. მათი სურვილია, კვლავ გაერთიანდნენ თავისუფალი პროფკავშირის რიგებში და სხვა პედაგოგებსაც მოუწოდებენ ამ პროფკავშირში გაერთიანებას, რადგან მათ ამ გაჭირვების ყამს სწორედ პროფკავშირიდან იგრძნეს დიდი ყურადღება და თანადგომა.

დიდი მადლობა, ქალბატონო მანანა! გვეამაყება, რომ თქვენი სახით საქართველოს პედაგოგებს გვყავს პედაგოგების ინტერესების დამცველი და მათ კეთილდღეობაზე მზრუნველი პროფკავშირი.

**კარალეთის კოტეჯებში ჩასახლებული პედაგოგების სახელით:**  
**ცისმარ პერუაშვილი**  
**ელინო ტოლიაშვილი**  
**ეკა ჯავახიშვილი**  
**მარინა უთინაშვილი**  
**ციციერო ოქროპირიძე**  
**თამარ გუშუბიშვილი**

# საქველმოქმედო აქცია-კვირული თანადგომით გამოწვეული სისხარული



ბიბლია გვაუწყებს: „...პირს ნუ შეაქცევ ღარიბ-ღატაკს, რომ შენც არ შეგაქციოს პირი ღმერთმა... გაეცი მონყალება, რადგან სიკეთეს დაიუნჯებ ჭირის დღისათვის, რადგან მონყალება სიკვდილისაგან იხსნის კაცს და ბნელს აარიდებს“ (4,7-10).

თბილისის 182-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებსა და პედაგოგებს ბევრი საინტერესო და ლამაზი დღე ახსოვთ. იყო გამარჯვებები კონკურსებსა თუ პროექტებში, იყო ჯილდოები და საჩუქრები, მაგრამ სისხარული და აღმაფრენა, რომელიც ჩვენი სკოლის კედლებში 18-26 თებერვალს სუფევდა, განსაკუთრებული იყო.

XI კლასის მოსწავლეებმა გამოთქვეს სურვილი, ჩატარებულიყო საქველმოქმედო აქცია უკიდურესად გაჭირვებული, მრავალშვილიანი ოჯახების, მარტოხელა, უმწიფო მოხუცების, დევნილებისა და მიუსაფარ ბავშვთა სახლის აღსაზრდელების დასახმარებლად. ამ

უკეთილშობილეს საქმეში ჩაერთო მთელი სკოლა: მოსწავლეები, მასწავლებლები და მშობლები. გადანყდა, ჩატარებულიყო საქველმოქმედო აქციის კვირული.

XI კლასის მოსწავლეებმა და თვითმმართველობამ შექმნეს მობილური ჯგუფები, მოიძიეს ინფორმაცია სკოლის მიმდებარე კორპუსებში მცხოვრებ ეკონომიკურად შეჭირვებულ ოჯახებზე. ესტუმრენ მიუსაფარ ბავშვთა სახლს. გაარკვიეს, რა სახის დახმარება სჭირდებოდათ და დაიწყეს პროექტების, მედიკამენტებისა და თანხის შეგროვება. კვირულის ბოლო დღეს, სკოლაში მოიწყო მოსწავლეების მიერ შექმნილი ნახატების, სათამაშოებისა და ნაკეთობების გამოფენა-გაყიდვა. მათივე მონაწილეობით გაიმართა საქველმოქმედო კონცერტი, რომლის მსვლელობის დროსაც მშობლებს, მოსწავლეებს, მასწავლებლებს შემოჰქონდათ შემონირულობები ფულადი სახით.

ძალზე რთულია, სიტყვებით გამოხატო ის გრძნობები და ემოცია, რაც იმ დღეს ჩვენს სკოლაში სუფევდა. პროდუქტებით, მედიკამენტებით, ტანსაცმლითა და თანხით ხელდამშვენებული მოსწავლეები მიუსაფარ ბავშვთა სახლსა და მათთვის უკვე ნაცნობ ოჯახებს ეწვივნენ. შეხვედრა ძალიან ემოციური და თბილი იყო. ცრემლს ვერ მალავდა მრავალშვილიანი დედა, ლოცავდა საჩუქრებით ხელდამშვენებულ პატარებს. ტიროდა ლოგინადჩავარდნილი მოხუცი. გიო ტყეზრავას მხრებიდან ჩამოსვლა არ უნდოდათ მიუსაფარ ბავშვთა სახლის „ნამცეცებს“. მარი აბესაძემ და ანა გაფრინდამვიღმა ფურცელს გაანდეს სათქმელი: „მე-12 კორპუსი, I სადარბაზო, მე-3 სართული... ყველაფერი დაპირებით დაინყო. ორი კვირის წინ ისინი ვერ წარმოიდგენდნენ, რომ შეიძლებოდა იმ აუცილებელი დავხმარებოდით, რაც, ალბათ,

ჩვენთვის ელემენტარულს, მათთვის კი უძვირფასესს ნიშნავს. ზარი დავრეკეთ. გაიღო კარი. ჩვენ წინ გაკვირვებული ქალი იდგა, ჩვენი შეხვედრა ძალიან ემოციური იყო. ძნელია, ამგვარი განცდა სიტყვებით გადმოვცეთ. მე და ჩემი მეგობრები ბედნიერები ვართ, რომ გვექონდა შესაძლებლობა, ცხოვრებაში პირველად გვენახა, რას ნიშნავს ნამდვილი სისხარული.

ამ ჰუმანიტარული აქციის მიზანი უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე მატერიალური დახმარება. ჩვენ ვეცადეთ, ამ მოხუცისთვის მარტოობის მძიმე წლები ცოტათი მაინც შეგვემსუბუქებინა, გვეჩუქებინა მათი გულებისათვის ადამიანური სითბო და გვეთქვა, რომ არსებობდნენ ადამიანები, რომლებიც მათზე ზრუნავენ.“

ჩემი პატარა მეგობრებისა და ამ ქვეყნად ყველა მართალი გულით მოსიარულე ადამიანის სიკეთემ ჩვენს გაჭირვებულ თანამემამულე-

ებს რწმენა და იმედი დაუბრუნა იმისა, რომ მოყვასისადმი სიყვარული ყოველთვის არსებობდა და იარსებებს. ისინი მარტონი არ არიან. უფალი ჩვენი მფარველია და გასაჭირში არ გეტოვებს, ქველმოქმედება კი ღვთისადმი შეწირული მსხვერპლია.

გულითადი მადლობა მინდა გადავუხადო ჩვენი სკოლის მოსწავლეებს, ჩემს კოლეგებს, ბატონ არჩილ ჩხაიძესა და მის მოადგილეებს, მშობლებს მათ მიერ გამოჩენილი ყურადღებისა და თანადგომისათვის. განსაკუთრებული მადლობა ჩემს XI კლასს იმ დიდი მადლისა და სიყვარულისათვის, რომელიც გულში ვერ დაიტყეს და 182-ე საჯარო სკოლის სიკეთედ აქციეს.

**დალი ლეჟავა**  
182-ე საჯარო სკოლის XI კლასის ხელმძღვანელი, სამეურვეო საბჭოს თავჯდომარე



# საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო სტუდენტებისათვის

„საქართველოს ისტორიის“ მეორე ნაწილი, რომელიც XIII-XVIII საუკუნეებს მოიცავს, გამოქვეყნდა გასულ წელს. წიგნის უმეტესი ნაწილი დაწერილია თვითონ რედაქტორების – ნოდარ ასათიანისა და გივი ჯამბურას მიერ. მათ გარდა ცალკეული თავების ავტორები გახლავან: გიორგი ოთხმეზური, გულივერ იობაშვილი და ვახტანგ ჯანჯღავა. ასე რომ, როგორც პირველი ტომის შემთხვევაში, ისე ამჯერადაც ვერ მოხერხდა, რომ ერთ ავტორს გადმოეცა ქვეყნის მთლიანი, თითქმის ექვსასწლეულიანი პერიოდი.

ისე, მოგეხსენებათ, აღნიშნული პერიოდის ისტორია გადმოუციათ ივანე ჯავახიშვილს, ნიკო ბერძენიშვილს, დავით გვრიტიშვილსა და სხვებს. გვაქვს პოპულარული თხრობის მცდელობებიც. საერთოდაც ეს ხანა უფრო შესწავლილია, ვიდრე წინამდებელი. ცხადია, ამის გამოცაა, რომ სახელმძღვანელოს ეს ტომი უფრო მეტი ინტერესით იკითხება. ამასთანავე, ბევრად ნაკლებია შეცდომებიც.

სახელმძღვანელოს ავტორები თეორიულ, მეთოდოლოგიურ მხარეზე გაკვირვებულნი არ მიგვიჩვენებენ. თუ თვით ტექსტის მიხედვით ვიმსჯელებთ, იქნება შთაბეჭდილება, რომ ისინი ისტორიული მატერიალიზმით ხელმძღვანელობენ. ამას კი სასაყვედუროდ როდი ვამბობთ: ამ სოციოლოგიურ და საისტორიო-ფილოსოფიურ მიმართულებას, რასაკვირველია, აქვს საკმაო საფუძველი იმისათვის, რომ ისტორიკოსებმა ისარგებლონ. მაგრამ სხვაა, რომ საბჭოთა პერიოდის განმავლობაში იგი უაღრესად პრიმიტიული სახით წარმოდგინებულა, იყო ძალზე იდეოლოგიზირებული, განიხილებოდა რა ე.წ. მარქსიზმ-ლენინიზმის შემადგენელ ნაწილად. ვლადიმერ ლენინისა და იოსებ სტალინის მიერ პრიმიტიული ინტერპრეტაციის გამოისობით მოხდა, რომ რიგ შემთხვევაში იგი ემთხვევა ეკონომიკურ მატერიალიზმს, რის მაგალითიც ჩვენ ვნახებთ პირველ ტომში (VIII-XII საუკუნეებში საქართველოს გაერთიანების საკითხის გააზრება უმთავრესად ეკონომიკური ფაქტორის გათვალისწინებით).

ავტორები საისტორიო თხრობას ჩვეულებრივ ინყებენ საზოგადოების ეკონომიკური მდგომარეობის გადმოცემით, რის შემდეგაც გადადიან სოციალური სტრუქტურის გარკვევაზე, შემდეგ კი ხდება სახელმწიფო (პოლიტიკური) წყობილების, პოლიტიკური ისტორიისა და კულტურის საკითხების გარკვევა. თითქოს ისტორიული პროცესისადმი ორთოდოქსული მარქსისტული მიდგომაა, მაგრამ, ვიმეორებთ, ამას ადგილი აქვს ზედაპირულად, შესაბამისი თეორიული მომზადების გარეშე. ამასთანავე, წიგნის ანოტაციაში ვკითხულობთ, რომ „წიგნი გაშუქებულია ქვეყნის სოციალური, ეკონომიკური... საკითხები“. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, სინამდვილეში ჯერ ეკონომიკური მდგომარეობის ჩვენებით იწყებენ. მართლაც, ეკონომიკა ხომ წინ უსწრებს და განსაზღვ-

რავს სოციალურ სტრუქტურას. ეს თვალნათლივი გარემოება გახლავთ.

სხვა ამბავია, რომ წიგნის ავტორები ამჯერადაც, ისევე როგორც პირველი ტომის შემთხვევაში, ერთხელაც არ მოიხსენიებენ ისტორიული მატერიალიზმის შემქმნელთა სახელებს. გავითვალისწინოთ თუნდაც ის გარემოება, რომ კარლ მარქსმა, რომლის დიდ ეკონომისტობას დასავლეთში არავინ არ უარყოფს, პოლიტიკური ეკონომია შექმნა ფართო აზრით, ე.ი. კაპიტალიზმის გარდა, წინამდებელი ტიპის (სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციების) საზოგადოებების ეკონომიკების გააზრებითაც, რაც მეცნიერებისთვის (კერძოდ ისტორიოგრაფიისათვის), დღემდე დიდ და ფასეული რჩება. მასთან შედარებით ამერიკელი ეკონომისტი-სა და სოციოლოგის – უოლტ როსტოუს მცდელობა სწორედ რომ უბადრუკია).

სასურველი იყო, წიგნში უფრო კრიტიკული თვალთახედვით გაშუქებულიყო ჩვენი ისტორიის აღნიშნული პერიოდი. ასე მაგალითად, წიგნში გამეორებულია ტრადიციული შეხედულება, თითქოს მონღოლთა ბატონობის დროს, XIII საუკუნეში ქართველებს სამხედრო ბეგარის სახით 90 000 მოლაშქრე უნდა გამოეყვანათ, საერთოდ კი, 810 ათასი კომლის არსებობისას, შესაბამისად ექვსი მილიონი მცხოვრების პირობებში (გვ. 48), რა თქმა უნდა, ბევრად უფრო მეტი სამხედრო პოტენციალია საგულისხმო. მაგრამ თუ ასეა, მაშინ როგორ მოხდა ჩვენი სასტიკი დამარცხებანი ჯალალ ედ-დინის შემოჭრისას. 34-ე გვერდზე ვკითხულობთ, მასთან ბრძოლისას საქართველოს გამოეყვანა 40 000 მეომარი, საიდანაც თითქმის ნახევარს ყივჩაყები შეადგენდნენ. ან როგორ დაემარცხდით მონღოლთა პირველი გამორჩენისას, როდესაც მათი ლაშქარი 20 000-ს თუ მოითვლიდა. გარდა ამისა, ისედაც ხომ აუცილებელია ხაზი გაესვას ჩვენი იმდროინდელი სოციალური ევოლუციის სისუსტესა და უბადრუკობას (ამას გარკვევით გახაზავდა ივანე ჯავახიშვილი).

ასევე, ჩვენი შეხედულებით, წიგნში უფრო კრიტიკულად უნდა განხილიყო საქართველო-რუსეთის ურთიერთობანი, რის ტრადიციაც ივანე ჯავახიშვილმა დაამკვიდრა. თუმცა ლიტერატურის სიაში, 411-ე გვერდზე, მითითებულია დიდი ისტორიკოსის ცნობილი ნაშრომი, მაგრამ შესაბამისი კრიტიკული სულისკვეთება, ვიმეორებთ, ნაკლებად იგრძნობა. იმავეს ვიტყვით ერეკლე მეორის მეფობის ბოლო ათწლეულის თაობაზე. სახელდობრ ის ფაქტი, რომ 1795 წლის სექტემბერში, კრწანისის ველზე ჩვენმა ხელისუფლებამ მხოლოდ ორი ათასი მეომრის გამოყვანა „მოახერხა“ (ცნობილია, რომ სამი ათასი სოლომონ II-მ ჩამოიყვანა) ხომ ქართლ-კახეთის მესვეურთა უნიათობაზე მეტყველებს. ცხადია, შესაბამისი მოვლენებისადმი ოდენ ობიექტივისტური მიდგომა აშკარად არადამაკმაყოფილებელი იქნება. ბოლოს და ბო-

ლოს, განა არ დადგა დრო ვალია-როთ, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს ისტორიის ტრაგიკულ დასასრულში სუბიექტურ ფაქტორსაც მიუძღოდა სათანადო როლი. პირველ რიგში, ეს ეხება ბაგრატიონთა დინასტიას.

საერთოდ, თუ სარეცენზიო წიგნის მიხედვით ვიმსჯელებთ, მეთვრამეტე საუკუნის ქართლ-კახეთის ეკონომიკური და სოციალური ვითარება საკმაოდ წარმატებით ვითარდებოდა, სოციალური ელიტაც თითქოს სერიოზულ ძალას წარმოადგენდა. მაგრამ, თუ ამ საუკუნის ბოლოსა და მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში მომხდარ მოვლენებს შევხედავთ, გვაქვს საფუძველი დიდად დავეჭვდეთ მსგავს მტკიცებულებას.

მოგეხსენებათ, საბჭოური პერიოდის მანძილზე ქართული ისტორიოგრაფია გაზვიადებული სახით წარმოადგენდა ხოლმე კლასობრივი ბრძოლის არსებობას. კარგია, რომ ავტორები არ გადავარდნილან მეორე უკიდურესობაში და არ იგნორირებენ ამ რეალობას, რაც უთუოდ არსებობდა. შესაბამისი პერიოდის კულტურული ვითარება წარმოჩენილია საკმაოდ კონკრეტულად, მაშინ როდესაც ჩვეულებრივ სახელმძღვანელოებში ამას ხშირად მშრალად, ზოგადი ფრაზებით წარმოადგენდნენ ხოლმე.

ეკონომიკური მდგომარეობის გადმოცემა წიგნში რამდენჯერმე გვხვდება, რაც არ გახლავთ უპრიანი ტრადიციული საზოგადოების პირობებში. ამის გამო, უბრალოდ გამეორებთან გვაქვს საქმე, რაც გამორიცხული იქნებოდა წიგნის ერთი ავტორის მიერ დაწერის შემთხვევაში.

წიგნში იგრძნობა ისტორიული დემოგრაფიის ნაკლები დამუშავებულობა ქართულ ისტორიოგრაფიაში. მეტი კონკრეტულობისათვის საჭირო იყო მოსახლეობის ეთნიკური სტრუქტურის ჩვენებაც. წიგნის მიმართ გვაქვს სხვა, უფრო კერძო შენიშვნები, რასაც თანამომდევრობით, გვერდების მიხედვით, ჩამოვთვლით.

წიგნში აღნიშნულია, რომ დიდი გუთანი სწორედ XIII საუკუნეში გავრცელდა. მაგრამ გაზვიადებაა იმის თქმა, რომ მან „შეცვალა ძველი ერქვანი, კავი, აჩაჩა და სხვა უფრო მარტივი იარაღი“ (გვ. 11). ცხადია, რელიგიისა და ნიადაგების გამო მსგავსი რამ საქართველოში ყველგან ვერ მოხერხდებოდა და მართლაც, ვერ მოხერხდა, რაც წიგნში აღნიშნულია კიდევ (იქვე), ამჯერად დიდი გუთნის გავრცელების არეალი „ქართლისა და კახეთის ვაკეებით“ არის შემოფარგლული (სხვათა შორის, ასეთ გეოგრაფიულ ნომენკლატურას საქართველოს გეოგრაფია არ იცნობს).

წინა ტომისაგან განსხვავებით, ამჯერად აღნიშნულია, რომ „ბარის რაიონებში წამყვანი ადგილი ეკავა მარცვლეულის წარმოებას“ (გვ. 12, 218). ამავე მე-12 გვერდზე მარცვლეულის კატეგორიაში შეტანილია ცერცვი და ოსპი, რომლებიც სხვა, პარკოსან კულტურათა რიგს განეკუთვნებიან.

რაც შეეხება მეცხვარეობას, თითქოს იგი „ძირითადად გავრცელებული იყო მალაღმთიან რაიონებში, სადაც მეურნეობის სხვა დარგების განვითარება მკაცრი ბუნებრივი პირობების გამო ერთობ შეზღუდული ან შეუძლებელი იყო“ (გვ. 13). სინამდვილეში მეცხვარეობა აღმოსავლეთ საქართველოს ბარში უფრო მეტად იყო გავრცელებული, რაც ამავე გვერდზე აღნიშნულია კიდევ. მეტსაც ვიტყვით, მაგალითად, ხევსურეთსა და სვანეთში უფრო მეტად მსხვილფეხა პირუტყვის მოშენებას (მესაქონლეობას) მისდევდნენ.

განსამარტებელია, თუ რას ნიშნავს „ქალაქების მნიშვნელობის დაბეჭევა“ (გვ. 14). ასევე შესაბამისი ხანისათვის ნაკლებად უპრიანია „აზერბაიჯანის“ ხმარება (იქვე) და თანაც ეს დაკონკრეტებას საჭიროებს.

არაზუსტია გამოთქმა „ფეოდალური საწარმოო ძალები“ (გვ. 15). მოგეხსენებათ, ეს საწარმოო ძალები მნიშვნელოვანწილად ე.წ. ადრეკლასობრივ საზოგადოებაშიც არსებობდა და XIX საუკუნეშიც, რომელიც ბურჟუაზიულ ხანას წარმოადგენდა.

ამავე გვერდზე აღნიშნულია სოფლის მეურნეობის უფრო რაციონალური დარგები – მებაღეობა-მევენახეობა (!), ტექნიკური კულტურები. საფიქრებელია, რომ ამ შემთხვევაში ინტენსიური დარგებია ნავულისხმევი.

წინა ტომისაგან განსხვავებით, მეორე წიგნში ხაზგასმულია, რომ ქართულმა სახელმწიფოებრიობამ ვერ მიაღწია აბსოლუტიზმს (გვ. 17), რაც სწორია. მაგრამ ამ დებულებას მკითხველთათვის განმარტება საჭიროდება. დაზუსტებას მოითხოვს ის ამბავი, თუ ორი დუმან-ნონის ლაშქარი როგორ შედგებოდა 30 000 მეომრისაგან (გვ. 27). კვლავ გვხვდება რუსული ენიდან მომდინარე კალკი „სომხური მიწები“ (გვ. 46 და სხვაგან).

1260 წელს გამართული ბრძოლის ადგილი წიგნში მიჩნეულია „გორის შინდარა“, „შინდარა გორისა“ (გვ. 51), მაშინ როდესაც ჩვენს ისტორიოგრაფიაში გარკვეულია, რომ ამას ადგილი ჰქონდა შინდარასთან (ამჟამად ქალაქ ხაშურის შემადგენლობაში). უხერხული, რუსულიდან წარმომავალი კალკია გამოთქმა: „მონღოლური საყაენო“ (გვ. 53). უნდა იყოს „მონღოლთა საყაენო“. ასევე არაა მიზანშეწონილი იმჟამინდელი ვითარებების მიმართ ნეოლოგიზმის „რაიონის“ ხმარება (გვ. 57 და სხვაგან). „ორტალები“ ნაცვლად (გვ. 59), უნდა იყოს „ორტალები“. საკითხავია, თუ როგორ მდებარეობდა „ბრეთის შესანიშნავი არქიტექტურული ძეგლი“ სამცხეში (გვ. 64)?

„ქაიროსა“ (გვ. 64) და „კონსტანტინოპოლის“ (გვ. 66) მაგიერ, უნდა იყოს „კაირო“ და „კონსტანტინეპოლი“. რასაკვირველია, კორექტურული შეცდომაა „აზახუტლუ“ (გვ. 67), „ანა-ხუტლუს“ ნაცვლად.

სტუდენტობას ალბათ გაუჭირდება გარკვევა იმისა, თუ რა წეს-

წყობილების პირობებში ცხოვრობდნენ მონღოლები „ფეოდალიზმამდე“. თუ 25-ე გვერდზე ეს გამოცხადებულია „პატრიარქალურ-თემურ წყობილებად“, 70-ე გვერდზე სახელდებულია „სამხედრო-ნომადურ სისტემად“. არ ჩანს, რომელ სპეციალურ ნაშრომს ეყრდნობა შესაბამისი თავი.

გასარკვევია, თუ რომელი „ყარალაჯი“ იგულისხმება 84-ე გვერდზე, რადგან აღმოსავლეთ საქართველოში ამ სახელწოდების (თურქული წარმოშობის) ორი სოფელი მდებარეობს.

უხერხული გახლავთ თქმა იმისა, რომ კონსტანტინეპოლის აღების დროს (1453 წელს) დასავლეთ ევროპაში ფეხს იდგამდა ჰუმანიზმი და რენესანსი (გვ. 104), მაშინ როდესაც, კერძოდ იტალიაში, ამას უკვე კარგა ხნის ისტორია ჰქონდა. იმავეს ვიტყვით იოჰან გუტენბერგზე. როგორც „საკაცობრიო აზროვნებისა და კულტურის გიგანტზე“ (იქვე). 106-ე გვერდზე „შერცოვი“ და „დეუკა“ ისე არის ნახმარი, თითქოს ისინი სინონიმები არ ყოფილიყვნენ.

საკითხავია, მაინც რატომ იყო უჩინარი „სახელმწიფო ქალაქი“ (გვ. 107)?

დიდად საკამათოა მტკიცებულება: „ქართულ კულტურაში ტრადიციულად წამყვანი ადგილი უკავია ხუროთმოძღვრებას“ (გვ. 128). 132-ე გვერდზე, ქართული კულტურის თხრობისას, ლაპარაკია აგრეთვე სამართალზე, რაც არასწორია.

138-ე გვერდზე სომეხი ისტორიკოსი მოიხსენიება „არაქელ დაკრიაყეცისა“ და „არაქელ თავრიხელის“ ფორმებით. 147-ე, 148-ე, 218-ე და 219-ე გვერდებზე, „სამცხე“ ნახმარია ფართო, მესხეთის მნიშვნელობით, ხან კი ვინო აზრით. 158-ე გვერდზე თელეთის ბრძოლის ნაცვლად „თელეთის ომი“ ფიგურირებს.

„შამხალის სამთავრო“ (გვ. 159) ხომ სპეციალური ტერმინით „სამხლოთი“ აღნიშნება? გაუმართლებელია „დალესტან-სამამხლოს“ ხმარებაც (იქვე). ან რას ნიშნავს „ავის მოხარკული“ (გვ. 161)? 166-ე გვერდზე ვხვდებით უხერხულ ნეოლოგიზმს – „სამცხელები“. 167-ე გვერდზე ირანის მიმართ ნახმარია სიტყვა „დაძალული“, რაც გაუგებარია (ისე, ნავულისხმევია „ძლეული“).

მკითხველებს გაუჭირდებათ გაიგონ, თუ სამცხე-საათაბაგოში რომელი ლივა, სანჯაყი ატარებდა „პეტრას“ სახელს (გვ. 170). შესაბამისი სახელწოდება ნამოსულია მაკაყის სახელ პეტრედან (თავად ავალიშვილისაგან).

„ბაზალეთის ომის“ (გვ. 189) მაგიერ, უნდა იყოს „ბაზალეთის ბრძოლა“. ბოლოს და ბოლოს, განა ქართულ ენაში ვეღარ უნდა გაიმიჯნოს ომისა და ბრძოლის ცნებები? ცხადია, გოგოლაური „ფშავი“ (გვ. 201) კი არ იყო, არამედ ფშაველი.

საბჭოური ევფემიზმია „აფხაზ ფეოდალთა შემოტევები“ (გვ. 205, 212), მსგავსად „დალესტელი (!) ფეოდალების“ შემოსევებისა. ჩვენმა წინაპრებმა კი მშვენივრად

სახელმწიფო

უნყოფენ, თუ რა იგულისხმებოდა „ლეკიანობაში“, ასევე „აფხაზ ფეოდალთა თავდასხმებში“.

212-ე გვერდზე აღნიშნულია „ზნობრივი და მორალური დაქვეითება“, 215-ეზე კი – „ქვეყნის ეკონომიკა და მეურნეობა“. მაგრამ განა აღნიშნული სიტყვები სინონიმები არ არის.

217-ე გვერდზე აღნიშნულია: „ფეოდალთა მეურნეობის წარმოებისათვის დასავლეთ საქართველოს ბუნებრივი პირობები გაცილებით უფრო ნაკლებად ხელსაყრელი იყო, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოსი“. ამას აღნიშნავდა ნიკო ბერძენიშვილიც, მაგრამ საჭიროა ამ აზრის გამაღიანებელი განმარტება, რასაც ვერც ამჯერად (ისევე როგორც პირველ ტომში) ვხვდებით.

განსამარტებელია, თუ რატომ ატარებდა მეხილეობა უფრო ინტენსიურ ხასიათს აღმოსავლეთ საქართველოში (გვ. 220). ძალზე საეჭვოა, რომ ჩვენს მითიანტომში „მესაქონლეობისათვის (!) საუკეთესო პირობები იყო“ (იქვე). ამიტომაც აქ მცხოვრებნი ამ მხრივაც როდი გამოირჩეოდნენ სიმდიდრით. ასევე საკითხავია, თუ რას ნიშნავს „ინტენსიური მეცხვარეობა“, მაგალითად თუშეთში (გვ. 220). გამოაგნებელია, თუ საიდან განჩნდა სვანური სოფლის „იფარის“ სახელი აღმოსავლეთ საქართველოში? ალბათ, აქ კორექტურულ შეცდომასთან გვაქვს საქმე – უნდა იყოს „ივრის“.

ამავე გვერდზე ვკითხულობთ, რომ ლიახვის ხეობაში მესაქონლეობა (!) მეურნეობის მთავარი დარგი იყო. მაგრამ, ჯერ ერთი, დასაზუსტებელია, რომელ – დიდ თუ პატარა, ლიახვზეა აქ საუბარი და მეორე, ეს ხეობები ხომ ბარსაც მოიცავენ. ამდენად, შესაბამისი მსჯელობა მხოლოდ ამ მდინარეების ზემოთის მიმართ თუა სწორი.

თუ ტექსტს დაუფრთხვობთ, საბოლოოში (საეპისკოპოსო) გლახობა აჯანყება მთელი ექვსი (1711-1716) წლის განმავლობაში გრძელდებოდა (გვ. 239). 244-ე გვერდზე როსტომის მეფობის პოლო წლად გამოცხადებულია 1656 წელი, 1658 წლის ნაცვლად.

ამავე გვერდზე ვკითხულობთ: „ფეოდალთა კლასობრივი ინტერესები აიძულებდათ (!), რომ გაერთიანებულიყვნენ მეფის ირგვლივ და ერთად ებრძოლათ როგორც ყმაგლეხების დასაბრუნებად, ისე უცხოელთა შემოსევების წინააღმდეგ“. რა, ქართველ თავადაზნაურობას ეროვნული გრძობა-შეგნება და ინტერესი სავსებით გამჭრალი ჰქონდა?

248-ე გვერდზე წერია: „რაც შეეხება უმაღლეს სასწავლებელს, შემორჩენილი გადმოცემის მიხედვით, ასეთი სასწავლებელი, ე.წ. აკადემია, თითქოს არსებობდა კახეთის სამეფოს დედაქალაქში, გრემში... არაა გამორიცხული, რომ სამეფოს დედაქალაქში დაარსებულიყო უმაღლესი სასწავლებელი“. როგორც უკვე დავინახეთ, მსგავსი მსჯელობა კატეგორიული სახით იყო მოცემული XI-XII საუკუნეების კულტურის შესახებ საუბრისას, ამჯერად კი ვხვდებით, რომ ეს XVI-XVII საუკუნეების მიმართაც კი საკამათოდ არის მიჩნეული, 254-ე გვერდზე კი – კვლავ კატეგორიული ფორმით.

გაუგებარია მსჯელობა იმაზე, რომ ფარსადან გორგიჯანიძეს „მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღ-

ვის აგრეთვე ფირდოუსის „შაჰნამეს“ ქართული ვერსიების შექმნის საქმეში“ (გვ. 250). მაინც საკითხავია, თუ რამდენი ასეთი ვერსია შექმნა მან? აქაც, კულტურის თაობაზე თხრობისას, სამართალზეც არის ლაპარაკი.

მკითხველებისთვის განმარტებას თხოულობს, თუ რა განსხვავებაა სპარსული თხზულებების თარგმანასა და გადმოქართულებას შორის (გვ. 251). სარგის თმოგველი იყო „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელებათა ავტორი XVI საუკუნეში?

თუ სხვაგან, როგორც აღვნიშნეთ, სარეცენზიო წიგნი მარცვლელის წარმოება ძირითად, წამყვან დარგად იქნა გამოცხადებული, ამჯერად, 262-ე გვერდზე წერია: „რა თქმა უნდა, მეაბრეშუმეობისა და ბამბის კულტურაზე ნაკლები ყურადღება არ ექცეოდა ძირითად სამეურნეო დარგებს: მევენახეობას, მემინდვრობას (ხორბლელის კულტურას), მესაქონლეობას“. გარდა ამ ლოგიკური წინააღმდეგობრიობისა, ცხადია, აბსურდია კერძოდ მემინდვრობის მნიშვნელობის დაყენება მეაბრეშუმეობისა და მებამბეობის თანაბრად.

265-ე გვერდზე, სასჯელის სახით, აღნიშნულია „ანძაზე ასმა“ (იხ. გვ. 277), მაგრამ ნუთუ დანაშაულის დასასჯელად, მით უფრო ქართლ-კახეთში, გემის ანძას მიმართავდნენ. აქ ძელზე გასმაზეა საუბარი. აქვე მითითებულია „სირიულ-რომაული სამართალი“. სიტყვათა ასეთი შეთანხმება კი უჩვეულოა.

266-ე გვერდზე ვკითხულობთ: „ქართველი ხალხის საუკუნოვანი კულტურის“, რაც არაზუსტია. „საუკუნოვანი“ ხომ 100 წლის დროით ხანგრძლივობას გულისხმობს. ამ შემთხვევაში კი ნაგულისხმევია მრავალსაუკუნოვანობა. 268-ე გვერდზე განმარტებული უნდა იყოს „კალანთარის“ მნიშვნელობა. გაუგებარია, რას ნიშნავს „ენისელთა მოურავი“ (გვ. 271). არაა სწორი გამოთქმა „ირანის სახელმწიფოს დღე დაელია“ (გვ. 274).

უაზრობაა „გუჯარეთის“ ქვემო ქართლის ნაწილად გამოცხადება (გვ. 277). „საერო აჯანყებაში“ (გვ. 278) ალბათ საერთო აჯანყება იგულისხმება. უჩვეულოა სიტყვა „მცირეხინიანის“ ხმარება (აქვე), ხანმოკლეს მაგიერ. გაურკვეველია აგრეთვე „არაგვისხეველების“ ხმარება (გვ. 281). მაინც რომელი არაგვია აქ ნაგულისხმევი? გიორგი ლიპარტელიანი კი არ უნდა ეწეროს (გვ. 284, 285), არამედ – გიორგი ლიპატიანი. ასევე მცდარია „სეფის ციხის“ აღნიშვნა (გვ. 285), უნდა იყოს „სეფიეთისა“. 287-ე და 288-ე გვერდზე „ერზრუმი“ მოხსენიებული, 289-ეზე კი – არზრუმი. „მზვერავის“ ხმარება (გვ. 290) არაა უპრიანი, ამ შემთხვევისათვის ხომ გვაქვს სიტყვა „მსტოვარი“. რას უნდა ნიშნავდეს „მძლავრი ისტორიული სული“ (გვ. 292)? უხერხული გამოთქმაა „ადა-მიანი – მოძრავი წერი“ (292), უნდა იყო აქტიური, თანაც აღნიშნული უნდა იყოს „საზოგადოების“.

293-ე გვერდზე დაკონკრეტებული უნდა იყოს „პლინიუსი“, ცხადია, აქ იგულისხმება პლინიუს უფროსი. დიდად საეჭვოა, რომ სულხან-საბა ორბელიანს სცოდნოდა „აბსოლუტური მონარქია“ (გვ. 298) და იგი მას განესხვავებინა თვითმპყრობელობისაგან. ძალზე ზერე-

ლეს ასეთი მსჯელობა: „სულხან-საბა კარგად იცნობდა და იყენებდა (ავითარებდა) იოანე პეტრიწის, არსენ იყალითელის, პროკლეს, ნემესიოს ემესელის, იოანე დამასკელის, ეფრემ ასურის და სხვათა ფილოსოფიურ კატეგორიებსა და ტერმინოლოგიას“ (გვ. 291).

299-ე გვერდზე ჩამოთვლილია „ბერძენ-რომაელი“ ავტორები, მაგრამ მათგან არც ერთი არ გახლავთ რომაული წარმოშობისა.

გაურკვეველია, თუ რას უნდა ნიშნავდეს „მინის დამუშავება და მოხმარება“ (გვ. 299-300). ცხადია, არაზუსტია გამოთქმა „ლიტერატურა და ხელოვნება“ (გვ. 300). ამავე გვერდზე „სისხლის დაქვევის“ მაგიერ უნდა იყოს „სახლის დაქვევა“.

„ჭირნახული ქართლის მეფის“ (გვ. 300) ნაცვლად აჯობებდა სიტყვა „მრავალჭირნახულის“ ხმარება. განა ძნელია დაკონკრეტებელიყო „სულხან-საბას ძმის“ (გვ. 302) ვინაობა? ამავე გვერდზე აღნიშნულია „ფასული და ღირებული“ რაც გაუგებრობას იწვევს. უნდა განმარტებულიყო „თეატრისა და სახიობის“ განსხვავებულობა (იქვე).

„აქი-ჩელები“ (გვ. 305), ცხადია, კორექტურული ხასიათის შეცდომაა, რადგან მომდევნო 307-ე, 308-ე და 309-ე გვერდებზე „აჯი ჩალაშია“ მოხსენიებული. „სატიხარის“ მაგიერ (გვ. 309). უნდა იყოს „სათიხარი“. თუ ქართლ-კახეთში „მეურნეობა თითქმის მთლიანად ჩაკედა“ (გვ. 309), საკითხავია, როგორ განაგრძო არსებობა შესაბამისმა საზოგადოებამ.

310-ე გვერდზე კვლავ არ არის დაკონკრეტებული „ლიახვის ხეობა“. გაუგებარია „პირაქეთა სოფლების“ (აქვე) მნიშვნელობაც (კახეთში). ასევე გაურკვევლობას ბადებს ანტონ პირველის „რეგორმისტული იდეები“ (გვ. 311).

317-ე გვერდზე თურქული ფულის ერთეულის „ქისის“ ოდენობა მანეთზეა გადაანგარიშებული, მაგრამ საკითხავია, ფულის რა კურსია აქ ნაგულისხმევი.

მცდარია მაჭავარიანების თავადებად გამოცხადება (გვ. 320). ასევე კითხვა ისმის: იყვნენ წერეთლები რაჭის თავადები (გვ. 322, 329)? რუსების ბრძოლა განა 1780 წლის დასაწყისში მოხდა (გვ. 330)? გაუგებარია, თუ რა მნიშვნელობით არის ნახმარი „სოციალური სისტემა“ (გვ. 332).

334-ე გვერდზე ნახმარია „ქალაქის სამართალი“, საქალაქოს ნაცვლად, „სახელმწიფო საბჭო“ – სამეფოს ნაცვლად. დასაკონკრეტებულია გაიოლის (არქიმანდრიტის) ვინაობა (გვ. 334, 338). „კაკაკასიის ქედის“ (გვ. 335) სახელწოდება ხომ „კაკასიონის ქედი“. აქვე ვკითხულობთ, რომ რუსეთმა თურქეთს ყირიმი წაართვა 1770-იანი წლების დასასრულსა და 80-იანი წლების დასაწყისში, მაგრამ ხომ ვიცით ზუსტი თარიღი – 1783 წელი? რას ნიშნავს „ტობოლსკი მღვდელთმთავარი“ (გვ. 339)?

342-ე გვერდზე მოტანილია ციტატა ავტორის დაუსახელებლად. 345-ე გვერდზე ნახმარია უჩვეულო სიტყვა „დარბაზელნი“, „დარბაზიელთა“ მაგიერ. მომდევნო გვერდზე კი „მასიური გამოსვლები“, მასობრივის ნაცვლად. გაუგებარია „ახტალის მადნების განადგურება“ (გვ. 348).

აღამაჰმად-ხანის შაჰის ტიტული კრწანისის ბრძოლის წინ როდი

მიუღია (გვ. 349), არამედ – შემდგომ. 364-ე გვერდზე „ივრისპირი“ კონკრეტული არეალის მიმართაა ნახმარი.

თუ სარეცენზიო წიგნის მიხედვით კრწანისის ტრაგედიის შემდგომ ქართლ-კახეთის მოსახლეობა 35 ათას კომლსა მოითვლიდა (გვ. 356), „საუკუნის ბოლოსათვის (80-90-იანი წ.წ.) აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა დაახლოებით 300 ათას სულს აღწევდა“ (გვ. 364). როგორ გავერკვეთ ამაში? დასახელებულ გვერდზევე მთელი საქართველოს მოსახლეობა ასეა წარმოდგენილი: 300 ათასი – ქართლ-კახეთში, დასავლეთ საქართველოში – 290-300 ათასი, მათში როგორ მოხდა, რომ მთელი საქართველოს მოსახლეობა 650 000-მდე აღწევდა (გვ. 364)?

გარკვევას საჭიროებს მსჯელობა იმის თაობაზე, რომ XVIII საუკუნის მანძილზე კერძოდ „სამეურნეო-ეკონომიკური ნეობილების“ (!?) შენარჩუნებით „ამ ნიადაგზე ქართველი ხალხი რაოდენობრივად და თვისობრივად (!) კონსოლიდაციის ახალ, უფრო მაღალ ეტაპზე აღიოდა“ (გვ. 364).

366-ე გვერდზე აღნიშნულია სოფელი ხოდაშენი, მაგრამ რომელი – ქვემო თუ ზემო? დიდად საეჭვოა, რომ საქართველოში ხორბლის საშუალო მოსავალი ჰექტარზე (!) 1280 კილოგრამს, ე.ი. თითქმის 13 ცენტნერამდე აღწევდა (გვ. 366). მსგავსი რამ აქა-იქ თუ იქნებოდა შესაძლებელი. საერთოდ კი, თვით XIX საუკუნის ბოლოსაც კი საქართველოში ჰექტარზე 7-8 ცენტნერი თუ მოდიოდა (ალექსანდრე ბენდიანიშვილი).

368-ე გვერდზე უნდა განმარტებულიყო თუ რას ნიშნავს „ნარინჯ-თურინჯი“. 368-ე გვერდზე მეორე აბზაცში „დაბლარის“ მაგიერ „მალარი“ უნდა ფიგურირებდეს. ამავე გვერდზე 1768 წლის მიმართ ნახსენებია „სიღნაღის მაზრა“, რაც შეუხამებელია გახალაეთს. თურმე აქ მაშინ 4000-მდე სული ცხოვრობდა. რაც ძალზე საეჭვოა, მით უფრო თუ 1770-იანი წლების დასაწყისისათვის 1000 სული მხოლოდ სიღნაღში სახლობდა (გვ. 375).

ფაქტია, რომ სარეცენზიო წიგნისაგან განსხვავებით მეცხვარეობა არ „ასრულდება დიდ როლს“ ხევსურეთში (გვ. 369). რას ნიშნავს ასეთი ჩამოთვლა: „მეპურენი, ხაზაზები“ (გვ. 370), მეეტლები და მეკარეტენი (იქვე).

ძალიან განა სურამის ახლოს მდებარეობს (გვ. 373)? რას ნიშნავს „პოლანდიური ჩერვონცები“ (გვ. 370)?

393-ე გვერდზე ვკითხულობთ: „საქართველოს პოლიტიკური მესვეურები კარგად ხედავდნენ, რომ იმდროინდელი სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური სისტემა (!) კელარ შეესაბამებოდა შედარებით აღმავლობის გზაზე შემდგომ (!) ქვეყნის ეკონომიკურ ბაზისს“ – რაც, ცხადია, უმართებულო მტკიცებულობაა.

394-ე გვერდზე გვხვდება „სამართალ წესრიგი“. ცხადია, უნდა იყოს „მართლწესრიგი“. გაზვიადებაა, რომ მხოლოდ ფილოსოფიას ხელნიფება გაარკვიოს ბუნებისა და საზოგადოების განვითარების კანონები (გვ. 398). ასევე, რა საჭიროა ერეკლე-ს მივანეროთ „ღრმად(!) განსწავლულობა“ მეცნიერებასა და ფილოსოფიაში (გვ. 398). რას ნიშნავს მეტაფიზიკისა და ფილოსოფიის ცალ-ცალკე ჩა-

მოთვლა (გვ. 399)? თითქოს ანტონ კათალიკოსის (პირველის) „ღვთისმეტყველების“ 4 ტომი ძირითადად ფრანგული ენციკლოპედიის პრინციპზე იყო აგებული (გვ. 399-400). ცხადია, ქართველი მკითხველები აქ ცნობილ ფრანგ ენციკლოპედისტებს იგულისხმებენ. სინამდვილეში არის მოსაზრება, თანაც ვარაუდის დონეზე, რომ ანტონის აღნიშნული თხზულება შეიძლება გადმოკეთებული იყოს ფრანგული საღვთისმეტყველო ენციკლოპედიიდან.

ქართულად „კალიგრაფისტებს“ (გვ. 403) კი არ ვამბობთ და ვწერთ, არამედ – კალიგრაფებს. გაუგებარია, თუ როგორ „დაიღო თავისი სამუდამო, მყუდრო სავანე“ დავით გურამიშვილმა უკრაინასა და რუსეთში (გვ. 406).

407-ე გვერზე წერია: „XVIII საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში მხატვრულ აზროვნებას წინანდელთან შედარებით არსებითი წინსვლა არ დატყობია“. მაგრამ თუ დავით გურამიშვილისა და ბესიკის შემოქმედებას გავითვალისწინებთ, მსგავსი მსჯელობა ხომ ფრიად საეჭვო ხდება.

თითქოს ე.წ. პოემაში „ასპინძისათვის“ ბესიკი „წარმტაცე ფერებით მოსავს“ უპირველესად ერეკლე მეორის „გმირულ სახეს ბრძოლის ველზე“ (გვ. 406). მაშინ როდესაც პოეტი აქ სავსებით იგნორირებს ერეკლეს და ყოველნაირად განადიდებს სარდალ დავით ორბელიანს.

მკითხველებმა შეიძლება იფიქრონ, რომ ბარაკონის ტაძარი უშუალოდ როსტომ ერისთავს (რაჭის) აუშენებია (გვ. 407) და არა აუგებინებია. ხომ ცნობილია მისი ხუროთმოძღვარი?

გაუგებარია სიტყვათა ამგვარი შეთანხმება: „მონუმენტური ფერწერა და მხატვრობა“ (გვ. 407), „სამსახიობო და თეატრალური ხელოვნება“ (იქვე). საინტერესოა, როგორ ჰქონდა ფანჩულდის (სახელი არ მოიხსენიება) საკუთარი თეატრი პენსასა და ორიოლოში (გვ. 408). ამავე გვერდზე აღნიშნულია, რომ თურმე ერეკლეს ზაქარია გაბაშვილი (ბესიკის მამა) საერთოდ ქართლიდანაც კი გამოუქვევებია ქართულ გალობა-სიმღერაში რაღაც ნოვაციების შეტანის გამო, რაც არასერიოზულია.

ასეთია ჩვენი შენიშვნები სარეცენზიო წიგნის მიმართ. განხილული ორი წიგნი, მთლიანობაში ადებული, სულაც არ არის აშკარად წინგადადგმული ნაბიჯი „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ შესაბამის ტომებთან შედარებით. რასაკვირველია, ნებისმიერ ისტორიკოსს შეუძლია წეროს ისტორია, მაგრამ საკითხავია, თუ როგორ ექნება ამას ადგილი. მკითხველებს ხომ აქვთ უფლება გაიზარონ და შეაფასონ ასეთი ნაშრომები? კარგ ნაშრომთა დაწერას ავტორთა სათანადო ნიშან-თვისებების ქონა სჭირდება, რაც არ გახლავთ ძნელად გასაცნობიერებელი.

დაბოლოს დავსძენთ, რომ ჩვენ მიერ რეცენზირებული ორი წიგნი უფროსი და საშუალო თაობების ისტორიკოსთა მიერ არის დაწერილი. ნუთუ არ მოვიდა დრო, რომ ამ მხრივ სერიოზული სათქმელი ახალი თაობის (გვულისხმობთ ორმოც წლამდე ასაკისა და ამ ასაკზე გადაბიჯებულთ) ისტორიკოსებმა თქვან.


მათემატიკა

სახალისო ცდები ქიმიიდან

ვაგრძელებთ ჩვენს სახალისო ცდებს ქიმიიდან. ამჟამად შემოგთავაზებთ ერთ-ერთ საინტერესო ცდას, რომელიც საკმაოდ სწრაფად მიმდინარეობს და უამრავ შეკითხვებს უჩენს ზავს გონებაში. ჩვენი მიზანია ხომ ეს არის?

ქიმიური ბალი

ნატრიუმის სილიკატის ხსნარში, სადაც Na2SiO3-ის მასური წილი 50%-ია, მოათავსეთ მეტალთა ქლორიდების კრისტალები. პირდაპირ თქვენ თვალწინ კრისტალების ზედაპირიდან ამოიზრდება „ტოტები“ და „ყვავილები“.



თუ ლაბორატორიაში ქლორიდები ძალიან წვრილი ფხვნილის სახით გაქვთ, მაშინ ჯერ უნდა დაამზადოთ მსხვილი კრისტალები, მათგან აარჩიოთ ყველაზე მსხვილები, ჩააწყლოთ თქვენ მიერ არჩეულ სარეაქტივო ქლორიდში და ძალიან ფრთხილად, ქურჭლის კედელს ჩააყოლოთ სილიკატის ხსნარში, რათა კრისტალებმა ადგილი არ შეიცვალონ.

თუ ლაბორატორიაში Na-ის სილიკატი არ მოიპოვება, შეგიძლიათ სილიკატური წებო შეიძინოთ სავაჭრო ობიექტების ნაოჯახოსამეურნეო განყოფილებებში. საიკითხეთ სილიკატის იარაღზე მითითებული პროცენტული შემცველობა და დაიყვანეთ იგი 50%-იან ხსნარამდე.

გაგახსენებთ მსხვილი კრისტალების მიღების ხერხსაც. პატარა მოცულობის (100-50 მლ) კოლბაში ან ქიმიურ ჭიქაში ჩაყარეთ ზემოთ ჩამოთვლილი ქლორიდებიდან რომელიმე ქლორიდის ნახევარი ჩაის კოვზი ფხვნილი, დაასხით წყალი იმდენი, რომ ფხვნილი ოდნავ დაიფაროს და ნელ ცეცხლზე შეათბეთ, თან სულ ატრიალეთ ჭურჭელი ალის ზემოთ ფრთხილად. ფხვნილი თუ ბოლომდე გაიხსნება, დაუმატეთ ცოტა იმავე ქლორიდის ფხვნილი. მორევის შემდეგ რაღაც ნაწილი გაუხსნელი უნდა დარჩეს. შეწყვიტეთ გაცხელება, შემოახვიეთ რაიმე (ქაღალდები, ნაჭრები), რომ ხსნარი რაც შეიძლება ნელა გაცივდეს. რამდენიმე საათის შემდეგ ქურჭელში ნახავთ მსხვილ კრისტალებს. ეს კრისტალები პინცეტით ამოიღეთ, დააწყეთ საშრობ ქაღალდზე და ფრთხილად შეამშრალეთ. ცდის ჩატარებამდე თუ საკმარისა დარჩენილი, კრისტალები შეინახეთ მშრალ ადგილას (თავდახურული), ქურჭელზე გაკეთებული სათანადო წარწერით.

ხელოვნური „წყალმცენარეებით“ სავსე ქურჭელი, სჯობს, ერთსა და იმავე ადგილზე გაუმრეველად იდგეს. „ტოტები“ ძალიან ნაზია და შერხევაზე იმტრევა. „ქიმიური ბალი“ რამდენიმე დღე შეგიძლიათ შეინახოთ და სხვა კლასის მოსწავლეებსაც აჩვენოთ.

ჩემს პრაქტიკაში ასეც გამოიყენებია: ქიმიის წრის ყველა მოსწავლეს უურიგდები სინჯარებს შიგ ჩადებული ერთი რომელიმე კრისტალით. საშუალო ხსნარის (Na2SiO3-ის 50%-იანი ხსნარის) დამატების შემდეგ თითოეული მოსწავლე ახლოდან აკვირდებოდა თავის სინჯარაში მიმდინარე საკმაოდ საინტერესო, ლამაზ და ზღაპრულ მოვლენას. პროცესის დამთავრების შემდეგ კი ერთმანეთს აჩვენებდნენ სულ სხვადასხვა ფერისა და ფორმის „მცენარეებიან“ განსხვავებულ სინჯარებს.




ეს რეაქცია სილიციუმის ნარმოქმნის მხოლოდ გამარტივებულ სქემას გვიჩვენებს. სინამდვილეში სილიკატები მრავალრიცხოვანი სილიციუმის ნარმოქმნისა, სადაც SO2 და H2O სხვადასხვა თანაფარობითაა:

xSiO2 · yH2O. სილიციუმის პოლიმერია, წყალში არ იხსნება, ნარმოქმნის ლაბას ან კოლოიდურ ხსნარს, ანუ ფიზიკურად სილიციუმის პოლიმერი ლაბისმავარია. სწორედ ეს ლაბა ნარმოქმნის კრისტალის ზედაპირზე ნახევარგამტარ აფსკს, რომელშიც ოსმოსური წნევის გავლენით შედის წყალი და რეზინის ბუშტივით ბერავს მას.


ძალიან მნიშვნელოვან ცოდნას მიეცემთ ბავშვებს, თუ თემას უფრო განვავრცობთ და ერთმანეთს შევადარებთ ნახშირბადას და სილიციუმს.

ნახშირბადი და სილიციუმი მენდელეევის ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემის ერთი და იმავე ჯგუფის ელემენტებია და ეს ფაქტორი განსაზღვრავს მათ მსგავსება-განსხვავებას. ბუნებაში სწორედ ამ ორ ელემენტს აქვს უფლება, იყვნენ განსაკუთრებულად გამორჩეული მნიშვნელობის პრეტენდენტები: ნახშირბადი - ყოველი ცოცხალის საწყისი და საფუძველი; სილიციუმი - მთელი არაორგანული ბუნების საწყისი და საფუძველი.

ნახშირბადის ატომებს ერთმანეთთან დაკავშირებით ჯაჭვისმავარი ნაერთების წარმოქმნა შეუძლია:



ამიტომ მისი ნაერთები ყველაზე მეტია ბუნებაში. ასეთივე ჯაჭვების წარმოქმნა არაორგანულ ბუნებაში მხოლოდ სილიციუმს შეუძლია:



თუმცა ესენი ნაკლებ მდგრადებია და ნაკლები სიგრძის. ამიტომ სილიციუმის ნაერთები ბუნებაში ნახშირბადის ნაერთებზე ნაკლებია, მაგრამ სხვა დანარჩენ არაორგანულ ნაერთებზე - გაცილებით მეტი. სამაგიეროდ, სილიციუმის ნაერთებს მეტი ცეცხლგამძლეობა აქვთ. მაგალითად, თეთრი ქარსი გამჭვირვალე ფირფიტებისაგან შემდგარი მინერალია, რომელიც კარტის დასტას გაეს და ძალის გამოყენებით შეიძლება ფირფიტებად დაიშალოს. ქარსის ამ ფირფიტებს გამათბობელი ხელსაწყოების სხვადასხვა დეტალების დასამზადებლად იყენებენ, რადგან მაღალ ტემპერატურას უძლებენ, რასაც ორგანულ ნაერთებზე ვერ ვიტყვით.

მეცნიერებმა ივარაუდეს, რომ, თუ შექმნიდნენ სილიციუმისა და ნახშირბადის ერთობლივ ნაერთებს, მათი დადებითი თვისებები გაერთიანდებოდა და მეტი გამოყენება ექნებოდათ, ვიდრე თითოეულს ცალ-ცალკე. მართლაც მიიღეს ახალი პოლიმერული ნივთიერება - სილიციუმორგანული ნაერთი, რომელსაც სილიკონი უწოდეს. მას მართლაც უნიკალური თვისებები აქვს. ამ პოლიმერით მიღებული პლასტმასის ხელსაწყოები უძლებენ დიდი ხნის განმავლობაში მაღალი ტემპერატურის პირობებში მუშაობას. ეს კი ძალზე

მნიშვნელოვანია მრავალ ნარმოებაში. კოსმოსური ხომალდების დასახელებაც კი კმარა მისი უზარმაზარი მნიშვნელობის აღსანიშნავად.

სილიკონის კაუჩუკი სრულიად არ ჯირჯერდება ორგანულ გამხსნელებში. ამიტომ მისგან დამზადებული მილსადენები ხანგრძლივად და უპრობლემოდ ახერხებენ ნავთობის გატარებას ათასობით კილომეტრის მანძილზე. სანავის გადამტანი ცისტერნებიც იმავე მიზეზით მზადდება სილიკონის კაუჩუკისაგან.

უამრავ საინტერესოს ნახავთ ინტერნეტში, თუ მოხსნავთ ინფორმაციას „სილიკონის“ შესახებ.

ახლა სხვა ცდას გავაცნობთ.

მზვანე ალი

ფაიფურის ჯამში ჩაასხით რამდენიმე წვეთი სპირტი და ასანთით ცეცხლი წაუკიდეთ. ის თითქმის უფერო ალით იწვის. თუ ჯამში მოათავსებთ სპირტისა და ბორის მჟავას ნარევის, ხსნარი ლამაზი მწვანე ალით დაინვება. ეს იმიტომ ხდება, რომ ბორის მჟავა H3BO3 სპირტთან რთულ ეთერს იძლევა, რომელიც ალს მწვანედ შეფერავს.



სასკოლო პროგრამაში შედის სხვადასხვა ლითონებისა და მათი ნაერთების მიერ ალის სხვადასხვა ფერად შეღებვა. ამიტომ, შეიძლება ასეთი ცდებიც ჩაატაროთ: სხვადასხვა ჯამში ჩაანვეთოთ 10-10 წვეთი სპირტი, შპატელის წვერით ჩაყაროთ სხვადასხვა მარილის ფხვნილები და წაუკიდეთ ცეცხლი. კალციუმი, (Ca2+) იონი დაინვება აგურისფერი ალით, კალიუმის იონი (K+) - იისფერით, ნატრიუმისა (Na+) - ყვითლით, ნიკელისა (Ni2+) - მწვანით და ა.შ.

ამ ცდებთან დაკავშირებით შეიძლება მთელი პიროტექნიკის თეორია განიხილოთ და მისი პრაქტიკული გამოყენების მაგალითებიც მოიყვანოთ. ფიერვერკები ხომ ულამაზესი სანახაობაა და გავრცელებულია მთელ მსოფლიოში.

ეს საკმაოდ საინტერესო თემაა, რომელიც სასურველია, მოსწავლეებმა იცოდნენ. გისურვებთ წარმატებებს.

მარიამ სურგულაძე

ინფორმაცია

საიუბილეო საღამო

6 მარტს, დედოფლისწყაროს კულტურის სახლის დიდ საკონცერტო დარბაზში, გაიმართა ჩვენი თანამემამულის, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის, პოეტ მაყვალა გონაშვილის საიუბილეო საღამო. მის პოეზიას საქართველოში მრავალი მკითხველი და დამფასებელი ჰყავს. ეს ერთხელ კიდევ დადასტურდა ამ საღამოს, სადაც პოეტი ქალბატონისთვის დაბადების დღისა და გაზაფხულის დღესასწაულის მისალოცად უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი. მაყვალა გონაშვილის გვერდით იყვნენ ცნობილი მწერლები და პოეტები: რეზო მიშველაძე, ვაჟა ოთარაშვილი,

ლი, გიორგი გიგაური, ფრიდონ ხალვაში, მსახიობი ზურაბ ქაფიანიძე და სხვები. მრავალფეროვანი მხატვრული პროგრამით წარსდგნენ პირველი საჯარო სკოლის მოსწავლეები. საშემსრულებლო ხელოვნებით თავი დაგვამახსოვრა მეორე კლასის მოსწავლე ლუკა ქისტაურმა; მაკა ჯორჯოშვილის და გოდერძი აბულაშვილის მიერ ფანდურზე დამღერებულ სიმღერებს ქართველი მწერლებში დიდი მოწონება ხვდანილია. სცენაზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ბიჭუნათა ფოლკლორული ანსამბლი „ქიზიყი“ და გოგონათა ანსამბლი „მანდილი“. საიუბილეო

საღამოს დიდი ხიბლი შემატა ცეკვა ქართულმა პირველი საჯარო სკოლის მოსწავლეების, და-მმა ნატო და გიორგი პაპუაშვილების შესრულებით. კომპოზიტორ ალექსანდრე ბასილიას სიმღერით „ზღაპარი სიყვარულისა“ პოეტს მიესალმნენ ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლ „ფიროსმანის“ წევრები. იუბილარს მიესალმნენ სოფელ ნითელწყაროს საჯარო სკოლის დირექტორი ლალი მენთეშაშვილი, კულტურისა და სპორტის მუშაკთა პროფკავშირის რაიონული საბჭოს თავმჯდომარე ნელი გობეჯიშვილი, მუნიციპალიტეტის გამგებელი ლევან ბალაშვილი, საკრებუ-

ლოს თავმჯდომარე თენგიზ გონაშვილი, პოეტის მშობლიური სოფლის - არბოშკის წარმომადგენელი მაკა ბუკია, მოსწავლე ახალგაზრდობის სახელით იუბილარს თბილი სიტყვებით მიმართა დედოფლისწყაროს მეორე საჯარო სკოლის მოსწავლე ქეთი ნათელაძემ, რაიონის მწერალთა ასოციაციის თავმჯდომარე ჯუმბერ უთურიშვილმა... ლიტერატურული მონტაჟი წარმოადგინეს პირველი საჯარო სკოლის მეოთხე კლასის მოსწავლეებმა (კლასის ხელმძღვანელი იზოლდა გურაშვილი). პოეტს იუბილე მიულოცეს მწერალმა რეზო მიშველაძემ; პოე-

ტებმა - ვაჟა ოთარაშვილმა, გიორგი გიგაურმა; მსახიობმა - ზურაბ ქაფიანიძემ. საიუბილეო საღამოს დასადგირით ლექსი „სიტყვა“ წაიკითხა და აღნიშნა: „განსაკუთრებულად უნდა გავუფრთხილდე ტრადიციებს, რომლებიც ესოდენ ძვირფასი და ღირებულია ჩვენთვის, იმიტომ რომ, როცა ჩვენი მომავალი თაობა გამოხსნის მეხსიერების კარადას, სიცარიელე არ დახვდეს შიგ... დიდი მადლობა დღევანდელი დაუფინყარი დღისათვის“.

მარიამ კოპიაშვილი

# პირველი პედაგოგი სახეა

საგანმანათლებლო სისტემაში მიმდინარე რეფორმაში ერთ-ერთი მთავარი ინკლუზიური განათლების სრულყოფა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მოსწავლეების სასწავლო პროცესში მათი მათხილური ჩართვაა. საპილოტე პროგრამა ამ კუთხით უკვე მუშაობს 40 სკოლაში და მომავალი სასწავლო წლიდან რეგიონის სკოლებსაც სრულად მოიცავს, მაგრამ ამ ეტაპზე შესატყვისი ცოდნა ყველასათვის ხელმისაწვდომი არ არის. ხშირად ხდება კონფლიქტი უნარშეზღუდული მოსწავლის მშობელსა და მასწავლებელს შორის, რისი მიზეზიც, უმეტესად, ის გახლავთ, რომ მასწავლებელმა არ იცის, როგორ მიუძღვას განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვს და მის ქცევას ხშირად აღიქვამს, როგორც ხელისშეშლას საგაკვეთილო პროცესში - აძევებს მას გაკვეთილიდან და ამით უკარგავს საკუთარი თავის გამოვლენის ისედაც მცირე შანსს. დღევანდელმა მასწავლებელმა კი სკოლა საზოგადო-

ებისათვის, ამ მხრივაც, ხელმისაწვდომი და იოლად აღსაქმელი უნდა გახადოს. პრობლემის არსებობამ და სიმწვავემ გვაძებნინა მისი მოგვარების გზები. თერჯოლის საგანმანათლებლო რესურსცენტრი, უკვე წელიწადზე მეტია, თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაცია „world vision“-თან, რომელსაც აფინანსებს არასამთავრობო ორგანიზაცია „Save the Children“. დღეს საქმიანობას აგრძელებს არასამთავრობო ორგანიზაცია „მაკლენის ასოციაცია ბავშვებისათვის“ („მაკი“, მენეჯერი - რევაზ ჩინჩალაძე, ფსიქოლოგი - ქეთი მაკლენი; ორგანიზაცია თანამშრომლობს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრთან. ამას მონაწილეობს მიმდინარე სასწავლო წლის ნოემბერში ბატონ სიკო ჯანაშიას სტუმრობა მუნიციპალიტეტის რამდენიმე სკოლაში).

წელს, ინკლუზიური სწავლების ტრენინგ-კურსები 15-მა მასწავლებლის ფარგლებში დამუშავდა ისეთი საკითხები, როგორცაა გონებრივი და ფიზიკური შეზღუდულობების სახეები: ცერებრალური დამბლა, ტურეტის სინდრომი, ასპერჯის სინდრომი, აუტიზმი, ეპილეფსია, სმენისა და მხედველობის დაზიანება, გონებრივი ჩამორჩენილობა და მისი სახეები, ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომი, დასწავლის უნარის დარღვევა, ემოციური პრობლემები. ტრენინგის ფარგლებში, ყურადღება გამახვილდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა საჭიროებებზე, როგორცაა დამოუკიდებელი ცხოვრების უნარი, ქცევის მართვა, აკადემიური უნარები და სხვ. ყველა მოსწავლეს უნდა ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობა სკოლაში სასწავლო მიზნების განსახორციელებლად. განხილულ იქნა სწავლების

სხვადასხვა სტილი: ვიზუალური, სმენითი, ტაქტილურ-კინესთეტიკური. მასწავლებლებს მიეცათ რჩევები, როგორ მოიპოვონ ამგვარ მოსწავლეთა ნდობა, როგორ განავითარონ მათში მოსმენის უნარი. გაეცნენ სპეციფიკური მუშაობის ტექნიკას, დადებითი განმტკიცების ხერხებსა და მნიშვნელობას. ისწავლეს, როგორ შეაფასონ მოსწავლის ქცევა და როგორ შეადგინონ განათლების ინდივიდუალური გეგმა, ე.წ. „გეგ“. სკოლის მიერ მონო-დებული განათლება უნდა იყოს ადაპტირებული, რათა ინდივიდის მოლოდინებსა და საჭიროებებს შესაბამებოდეს. ახლახან, იმავე პროგრამით, კიდევ 35 მასწავლებელი გადამზადდა, ტრენინგავალილი მასწავლებლები აქტიურად მუშაობენ უნარ-შეზღუდულ ბავშვებთან როგორც ბინაზე, ასევე საგაკვეთილო პროცესში, მუშაობენ მშობლებთან, სასწავლო კვებითლების დაძლევაში ეხმარებიან და შეილებთან სწორ ურთიერთობას ასწავლიან.

„მაკის“ თანადგომით სკოლებში სპეციალური პანელების დამონტაჟება იგეგმება (ზედა სიმონეთის საჯარო სკოლაში უკვე გაქვს). პირველი შედეგებიც სახეზეა - მცირედით, მაგრამ იმატა სკოლებში შეზღუდული შესაძლებლობის მოსწავლეთა რაოდენობამ, გაიზარდა მათი ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში, მშობლებში გაჩნდა მოტივაცია, მიიყვანონ შვილები სკოლებში. როგორც რესურსცენტრის უფროსი სპეციალისტი, პედაგოგი, მივიჩნევ, რომ აღნიშნული მიმართულებით საჭიროა თანამშრომლობა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან და იმ სკოლებთან, სადაც პროგრამა პილოტირებას გადის, მათთვის ჩვენ მიერ დაგროვებული გამოცდილების გაზიარება.

იან პარდოსანიძე

თერჯოლის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მთავარი სპეციალისტი, პედაგოგი

## „ვისწავლოთ ერთად“

16 წელია, ვმუშაობ დანყებითი კლასების მასწავლებლად. ბოლო სამი წელია, ვასწავლი ისეთ მოსწავლეებს, რომლებსაც განსაკუთრებული ყურადღება, ინდივიდუალური მიდგომა და საკუთარი უფლებების დაცვა სჭირდებათ. დიას, ესენი არიან შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვები. თავიდან ძალიან მიჭირდა. ამ მხრივ გამოცდილება არ მქონდა. კლასის უმრავლესობას არ სურდა ისეთ ბავშვებთან სწავლა, თამაში, მეგობრობა, რომლებსაც ფიზიკური და გონებრივი დარღვევები ჰქონდათ ან ღარიბი ოჯახებიდან იყვნენ. შევხვდი მშობლებს და თანამშრომლობა შევთავაზე. ისიც ავუხსენი, რომ ჩემს ჯგუფში ყველა ბავშვი თანაბარი უფლებებით ისარგებლებდა. მუშაობაში ყველაზე მეტად დამეხმარა ყოველდღიურად გაკვეთილების დაგეგმვა, სადაც გათვალისწინებული მქონდა განსაკუთრებული შესაძლებლობის მოსწავლეთა ინტერესები. ვისწავლე, როგორ ვესაუბრო მშობლის პრობლემის მქონე გრიგოლს, ყურადღებით ვუსმენ ნიკოლოზს, რომელსაც შეზღუდული მეტყველება და უნებლიე მოძრაობები აქვს. ვეხმარები მზიას, ეკონომიკური გაჭირვების გამო მას სწავლასთან დაკავშირებული პრობლემები აქვს. ხშირად ვიყენებდი მათ ნასახალისებლად სიტყვებს: „ყოჩაღ“, „ძალიან გვიყვარხარ“, „გონიერი ბიჭი ხარ“. მცირე წარმატებასაც კი ყველანი ტაშით აღვნიშნავდი. ვუხატავდი რვეულში



სხვადასხვა სიმბოლოებს, ვუნერდი კომენტარებს. დადებითმა განმტკიცებამ და განმავითარებელმა შეფასებამ წარმატებები მოუტანა ამ ბავშვებს. ისინი მოტივირებული არიან და ხალისით მოდიან სკოლაში. იციან, რომ იქ დახვდებიან თბილი, სწავლაზე ორიენტირებული გარემო.

მინდა გამოვყო პროექტი „მხიარული სტარტები“, სადაც განსაკუთრებული საჭიროებების მოსწავლეები ტოლს არ უდებდნენ თანაკლასელებს და იბრძოდნენ საკუთარი გუნდის წარმატებისათვის. მიმდინარე სასწავლო წელს არასამთავრობო ორგანიზაციის „მაკი“ (მენეჯერი - რე-

ვაზ ჩინჩალაძე) და სკოლის დირექციის (დირექტორი - გია ქასრაშვილი) თანადგომით შეიქმნა ოთახი „ვისწავლოთ ერთად“. აქ, მასწავლებელ შორენა გვენეტაძესთან ერთად, ვეხმარები სკოლის თორმეტ მოსწავლეს, მათი საჭიროებებიდან გამომდინარე. ამ პროცესს წინ უძღოდა არასამთავრობო ორგანიზაცია „მაკის“ მიერ რაიონის განათლების რესურსცენტრში ჩატარებული ტრენინგი, რომელსაც აქტიურად დაუჭირა მხარი რესურსცენტრის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა ქეთევან შეყრილაძემ. განათლების ფსიქოლოგი ქეთი მაკლენი დაგვეხმარა, ინდივიდუალური განათლების გეგმა მოგვეწვდოთ თითოეულ მოსწავლეს. მისი დაფინანსებით პროექტში ჩართულ ბავშვებთან ლოგოპედი და ფიზიოთერაპევტი მუშაობენ. მინდა, თქვენი გაზიარებით, მადლობა გადავუხადო ყველა ადამიანს, ვინც ამ საქმეში მხარს მიჭერს, განსაკუთრებით ამერიკელ ქალბატონს - ქეთი მაკლენს, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა თერჯოლის რაიონში ინკლუზიური განათლების პროგრამის დახურვამდე.

ელისო ჯანელიძე

ზედა სიმონეთის საჯარო სკოლის დანყებითი კლასის მასწავლებელი

### ლიბერალური სასამართლო

## მკაცრი განაჩენი

დედოფლისწყაროს ანდრია ბენაშვილის სახელობის ინგლისური პროფილის სკოლა „რჩეულის“ VIII-XI კლასის მოსწავლეებმა, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის ნინო ბოსტოლანაშვილის, სკოლის დირექტორის ცაცა ბენაშვილის, სასწავლო ნაწილის გამგის, ღირსების ორდენის კავალერის სვეტლანა შალვაშვილის და მენეჯერ ლალი აზარაშვილის მხარდაჭერით, დედოფლისწყაროს სასამართლოს სხდომათა დარბაზში, მოსამართლის თამარ ჭუნიაშვილის თავმჯდომარეობით, ვარსკენ პიტიახში გაასამართლეს. დედოფლისწყაროს სასამართლოს სხდომათა დარბაზი სავსეა. მდივანი - სკოლა „რჩეულის“ მოსწავლე მაგდა ბენაშვილი - სასამართლოს შემობრძანებას აუწყებს

დამსწრეთ, სასამართლო სხდომას გახსნილად აცხადებს და სასამართლოს მოახსენებს, რომ სხდომაზე გამოცხადდნენ: განსასჯელი ვარსკენ პიტიახში (ეკა ზურაშვილი, XI კლასი); დაზარალებული შუშანიკ დედოფალი (მთვარისა ონანაშვილი, XI კლასი); მათი დამცველები - მარიამ ჯანაშვილი, მარი ალბუთაშვილი; პროკურორი - მარიამ ბენაშვილი; მოწმეები: შუშანიკის სულიერი მოძღვარი იაკობ ხუცესი (თეონა ქადაგიძე), იოანე ეპისკოპოსი (თორღვა გიგაური), დედოფლის მახლი ჯოჯიკი (შოთა მჭედლიშვილი), კაცი ერთი სპარსი (მიხეილ ბენაშვილი). პროცესი იმ თანმიმდევრობით წარიმართა, როგორც წამდვილ სასამართლოზე: დაიკითხნენ მოწმეები, დაზარალებული, საბოლოო

სიტყვა წარმოთქვა ბრალდებულმა. პროკურორი, „რჩეულის“ მოსწავლე მარიამ ბენაშვილი, აქვეყნებს საბრალდებო დასკვნას: „განსასჯელს ბრალი ედება ქვეყნის ლაღატში, ქრისტიანობის წინააღმდეგ ბრძოლაში, მეუღლის არაადამიანურ წამებაში და შეილების მიმართ ზენოლაში“. პროკურორმა ვარსკენ პიტიახს მკაცრი განაჩენი გამოუტანა - სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა: „მან საკუთარ თავზე უნდა გამოსცადოს ის ტანჯვა, რაც დედოფალ შუშანიკს აგება. ეს გამოიხატება შემდეგში: მოვითავსოთ ბრალდებული იმავე პირობებში, როგორშიც დედოფალი იმყოფებოდა, ამით ქრისტიანები მას ერთგვარ შანსს მიეცემთ თავისი საქციელის მოსანანიებლად და ჭეშმარიტ რწმენაზე და-

საბრუნებლად“. სასამართლო მიდის განაჩენის გამოსატანად. ვარსკენ პიტიახში თავის მართლების და მისი დამცველის მცდელობის მიუხედავად, მოსამართლემ სრულიად გაიზიარა პროკურორის ბრალდება და ვარსკენ პიტიახს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა. დამსწრე საზოგადოებამ მოსამართლე თამარ ჭუნიაშვილის განაჩენს - ვარსკენ პიტიახსს, მოლაღატეს სამუდამო პატიმრობა მიესაჯოს - დარბაზი აპლოდისმენტებით შეხვდა. რა მისცა ამ ღონისძიებამ მის მონაწილეებს - „რჩეულის“ მოსწავლეებს?! - ძალიან ბევრი რამ. პირველ რიგში, სამართლიანობის ზეიმი იხილეს, შეიგრძნეს ის დიდი ძალა, რომელსაც ქრისტიანობის, სამშობლოს და ოჯახისთვის თავ-

დადება ჰქვია, ამაღლდნენ და გასპეტაკდნენ სულიერად. ურთულესი ლიტერატურული ნაწარმოების, იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამების“ ძირფესვიან შესწავლასთან ერთად, მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომი გახდა სასამართლოს პროცესის მსვლელობა, გაეცნენ, თუ ვის რა ფუნქცია აკისრია სამართლის აღსრულებაში. „რჩეულის“ მოსწავლეებმა უღრმესი მადლიერება გამოხატეს სკოლის ადმინისტრაციის, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის - ნინო ბოსტოლანაშვილის, დედოფლისწყაროს სახალხო მოსამართლის - თამარ ჭუნიაშვილის და მისი თანამშრომლის - ნაილი კოსიაშვილის მიმართ, რომელთაც დაუვიწყარი დღე აჩუქეს მათ.

მარიამ აპიაშვილი

# როგორ გაუმჯობესდეს სკოლებში განათლების ხარისხი?


## ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა აკრედიტაცია

### რას ელის საზოგადოება სკოლისგან?


2005 წლის აპრილში საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი ზოგადი განათლების შესახებ, რაც 2001 წელს დაწყებული ძირითადი რეფორმების ძალიან მნიშვნელოვანი გამოხატულებაა. ერთი მხრივ, კანონი ასახავს ქვეყნის ინტერესებს და მისწრაფებებს ზოგადი განათლების სისტემის მიმართ. მეორე მხრივ, კანონი აღწერს აღნიშნული მისწრაფებების განხორციელების გზებს. სწორედ ამ პერიოდში გახდა ზოგადი განათლების რეფორმა ჩვენი საზოგადოების ფართოდ განხილვის საგანი.

ზუსტად 2005 წლის აპრილში განხორციელდა საზოგადოებრივი აზრის ერთ-ერთი კვლევა (კომპანია „ბი-სი-ჯი“) გამოავლინა საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულება და მოლოდინი რეფორმისადმი. ზოგადი განათლების რეფორმის რეალური შედეგების დანახვის იმედი საქართველოს მოსახლეობის უმეტეს ნაწილს ჰქონდა საშუალო ვადებში: 42 პროცენტს - 4-5 წელიწადში, ხოლო 30 პროცენტს - 2-3 წელიწადში. იმავე კვლევისას, ჩვენი თანამოქალაქების 62 პროცენტი ზოგადი განათლების რეფორმის მთავარ მიზნად სკოლაში სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებას ასახელებდა. რეფორმის შედეგად მოხდა, ბუნებრივია, ამ მიზნის შესაბამისად იქნება შეფასებული.

სკოლა - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, სწორედ ის ადგილია, სადაც თავმოყრილია მოსწავლის განათლების ხარისხზე უშუალოდ მოქმედი ყველა ფაქტორი. ისინი თვისობრივად ოთხ ჯგუფად შეიძლება წარმოვიდგინოთ: მინარსობრივი, ადამიანური, ორგანიზაციული და მატერიალური. სკოლა არსებობს და ვითარდება ამ ფაქტორების ურთიერთქმედების შედეგად. სკოლაში რაც მეტად თანმიმდევრული და ურთიერთდაკავშირებულია მათი განვითარება, მით უფრო ეფექტურია საქმიანობა. შესაბამისად, სკოლის ეფექტიანობა განსაზღვრავს მისი საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხს.



### რაზე დამოკიდებულია მოსწავლის შედეგი?



გასათვალისწინებელია, რომ მოსწავლის განათლების ხარისხს მხოლოდ სკოლის საქმიანობა არ განაპირობებს. თუმცა, ზემოთ ხსენებული კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ ჩვენი საზოგადოების ინტერესი და მოლოდინი, სწორედ, სკოლების საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის, მოსწავლეთა განათლებულობაში სკოლის წვლილის გაზრდისკენ არის მიმართული.

საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხი იმდენად მრავალგანზომილებიანი ცნებაა, რომ უდიდეს მნიშვნელობას იძენს საზოგადოების სხვადასხვა ნაწილს შორის შეფასების ძირითად მახასიათებლებზე/კრიტერიუმებზე შეთანხმება. ასეთ შეთანხმებაზე დაფუძნებული შეფასებები თუ დასკვნები მეტი სანდოობით, დამაჯერებლობითა და შემდგომ ცვლილებებზე გავლენიანობით გამოირჩევა.

### როდის და როგორ შეფასდეს ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხი?

ზოგადი განათლების რეფორმა უწყვეტი პროცესია, რომელიც ქვეყანაში ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის მდგრად განვითარებას გულისხმობს. რეფორმის განხორციელების სტრატეგია გულისხმობს თანმიმდევრულ და ურთიერთდაკავშირებულ მოქმედებებს ზოგადი განათლების სისტემის ყველა მონაწილისაგან. სქემაზე გამოსახული სტრატეგიის

თითოეულ საფეხურზე მითითებულია საკვანძო დოკუმენტის მიღებისა და აუცილებელი პროცესის დაწყების თარიღები. აღსანიშნავია, რომ ყოველი განხორციელებული ეტაპი ეფუძნება პროფესიული თუ დინამიკური საზოგადოების აქტიურ მონაწილეობასა და ჩართულობას. თითოეული პროცესი და მის რეგულაციასთან დაკავშირებული დოკუმენტი მიიღებოდა მრავალმხრივი კვლევებისა და მათი შედეგების ფართო განხილვის საფუძველზე.

საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში მომუშავე ადამიანების უმრავლესობას ასოვს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტისა და სისტემის რეფორმის მიმართულებების შესახებ 2004-2005 წლებში მიმდინარე საჯარო განხილვები. იმათივე, საგანმანათლებლო პროფესიული საზოგადოება ცდილობდა პასუხი გაეცა სამი ძირითადი კითხვისთვის:

- 1. როგორი პიროვნების აღზრდა გვინდა?
- 2. როგორ აღვზარდოთ ასეთი პიროვნება?
- 3. როგორ შევამოწმოთ, მივალნი თუ არა მიზანს?

რეფორმა რამდენიმე ძირითად ეტაპს გავის. მისი განხორციელების სტრატეგიის საფუძველია: განვითარების კონცეფცია, სამართლებრივი ბაზის უზრუნველყოფა, მატერიალური უზრუნველყოფის პრინციპების შემუშავება, სისტემის სტრუქტურული, ასევე შინაარსობრივი ცვლილებები და ხარისხის მართვა და შეფასება. 2009 წლისათვის დაგეგმულია, როდესაც სხვადასხვა სახის უკვე განხორციელებული და მიმდინარე ცვლილებების შედეგების შეფასება უნდა დაიწყოს. სწორედ, ასეთია ჩვენი საზოგადოების მოლოდინი.



სახელმწიფო იღებს პასუხისმგებლობას ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტში აღწერილი მოზარდის უნარ-ჩვევების განვითარებისათვის შეიმუშავოს და დაინერგოს სხვადასხვა საშუალებები. აღნიშნული მიზნების მიღწევის ოთხი ძირითადი საშუალებიდან ერთ-ერთია - ზოგადსაგანმანათლებლო სასკოლო სისტემის რეგულირებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დანერგვა. მითითებულია, რომ სასკოლო სისტემის მართვის აუცილებელი კომპონენტებია:

- ლიცენზირება, აკრედიტაცია და ატესტაცია;
- სკოლის ადმინისტრაციული, ფინანსური და ადამიანური რესურსების მართვის განვითარება;
- სასკოლო სისტემის მართვის ძირითადი ფორმების განსაზღვრა და მათი შესრულების უზრუნველყოფა;
- ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და ფუნქციონირების ხარისხის შეფასება;
- ეროვნული შეფასებისა და საგამოცდო სისტემების შექმნა და მართვა.

ამავე ფუძემდებლურ დოკუმენტში მკაფიოდ არის ნათქვამი, რომ საზოგადოებრივი აქტიურობისა და არსებული რესურსების ეფექტიანი ამოქმედების გარეშე ეს ცალკეული საშუალებები ვერ უზრუნველყოფს მოზარდში ზემოთ ჩამოთვლილ უნარ-ჩვევათა სრულყოფილ განვითარებას. მოსწავლეების, მათი მშობლების, მასწავლებლების, დირექციისა თუ გარემომცველი საზოგადოების აქტიური მონაწილეობა განაპირობებს მიზნების მიღწევის ხარისხსა და წარმატებულობას.

უკვე შემდგომ, ზოგადი განათლების შესახებ კანონში მკაფიოდ არის გამოკვეთილი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში თითოეული კომპონენტის დანიშნულება, განხორციელების ობიექტები და სუბიექტები, მათი ურთიერთკავშირი. უდავოა, რომ ყველაზე მნიშვნელოვანია მოსწავლეთა მიღწევების შეფასების ობიექტური სისტემის ჩამოყალიბება და ამოქმედება. მისი სანდოობა და ხარისხიანობა განისაზღვრება სხვადასხვა, ერთმანეთისგან დამოუკიდებელ შემფასებელთა მიერ მიღებული შედეგების ურთიერთშესაბამისობის დონით.

კანონით განმარტებულია ეროვნული შეფასებების სისტემა, რომლის საშუალებითაც სახელმწიფო ამოწმებს მოსწავლეთა მიღწევების შესაბამისობას ეროვნული სასწავლო გეგმებით დადგენილ მიღწევათა დონებთან და ამ დონეების დაძლევის რეალურობას.

ეროვნული შეფასებების სისტემის შემუშავება, საჯარო სკოლებში დანერგვა და ეროვნული შეფასებების განხორციე-

ლება, კანონის თანახმად, არის ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის ფუნქცია.

ეროვნული შეფასების პირველი ეტაპი მიმდინარე 2008-2009 სასწავლო წლის დასასრულს განხორციელდება. ასე დაინიშნება განათლების ხარისხის მართვის ეს უმნიშვნელოვანი პროცესი.

ამას ემატება საგამოცდო სისტემის შეზღუდული შესაძლებლობები მოსწავლეებთან მიმართებაში. კერძოდ:

- ერთიანი ეროვნული გამოცდები, რომლებშიც მხოლოდ აბიტირენტები (და არა ყველა მოსწავლე) მონაწილეობენ;
- და სკოლაში სასწავლო წლის დამამთავრებელი გამოცდები. თუმცა, ასეთი გამოცდები ხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭო მიიღებს გადაწყვეტილებას.

ამ შესაძლებლობებს ახორციელებს გამოცდების ეროვნული ცენტრი. იგივე ცენტრი, 2003 წლიდან, პერიოდულად ახორციელებს მოსწავლეთა მიღწევების კვლევას რამდენიმე საერთაშორისო შეფასების სისტემის ფარგლებში.

### მოსწავლეთა განათლების ხარისხში სკოლის წვლილის გაზრდა-გაუმჯობესებისათვის, ბუნებრივია, საჭიროა მასწავლებელთა საქმიანობის ხარისხის მართვის მექანიზმი.

უმალესი განათლების შესახებ საქართველოს მექანიზმი (მიღებულია 2004წ.) თანახმად, პედაგოგიური საქმიანობა არის სახელმწიფო რეგულირების საგანი. ზოგადი განათლების შესახებ კანონით, მასწავლებლების პროფესიული ხარისხის მართვა უნდა განხორციელდეს სერტიფიცირებით, რაც გულისხმობს მასწავლებლისათვის პედაგოგიური საქმიანობის განხორციელების უფლების მინიჭებას ან/და განახლებას; უნდა აღინიშნოს, რომ მასწავლებელთა სერტიფიცირება არ არის ერთჯერადი ღონისძიება. ეს არის პროცესი, რომელშიც ხელი უნდა შეუწყოს მასწავლებელთა პროფესიული განვითარებასა და მათი საქმიანობის ხარისხის ზრდას. მასწავლებლის პროფესიონალიზმი კი მნიშვნელოვანი, თუმცა ხარისხიანი საგანმანათლებლო საქმიანობის ერთ-ერთი კომპონენტია. როგორც ცნობილია, სერტიფიცირების პროცესი 2010 წლიდან დაიწყება. ბუნებრივია, ის უნდა დაეფუძნოს მოსწავლეთა მიღწევების ეროვნული შეფასების 1-ლი ეტაპის დასკვნებს ისევე, როგორც მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას. ხარისხის მართვის ამ მექანიზმს, კანონის თანახმად, ახორციელებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი და გამოცდების ეროვნული ცენტრი.

ჩამოთვლილი მექანიზმები სრულად ვერ სწვდება ზოგადსაგანმანათლებლო სასკოლო სისტემის რეგულირებისა და ხარისხის უზრუნველყოფის ამოცანებს. როგორც უკვე აღინიშნა, მოზარდების განათლების ხარისხი განისაზღვრება საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობის ხარისხით/ეფექტიანობით. ეს კი ნიშნავს, რომ მოსწავლეთა შედეგებისა და მასწავლებელთა ინდივიდუალური პროფესიონალიზმის შეფასება ვერ იძლევა დამაჯერებელ და სრულ სურათს სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესის ხარისხიანობაზე.

სკოლის, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის განმხორციელებელი ერთიანი დაწესებულების, ხარისხის მართვის პირველადი მექანიზმი არის ლიცენზირება. თუმცა ეს შესაძლებლობა გამოიყენება მხოლოდ კერძო სექტორის მიმართ და თანაც ლიცენზია, კანონის თანახმად, უვადოდ გაცივება. ამ პროცესის მიზანი არის მხოლოდ საზოგადოებრივი ინტერესებისათვის საფრთხის თავიდან აცილება. შესაბამისად, ლიცენზირების - საგანმანათლებლო საქმიანობისთვის აუცილებელი/მინიმალური პირობების შემოწმების - მალაქის ხარისხიანად განხორციელება სასკოლო სისტემის რეგულირებისთვის შეზღუდულ ამოცანას ასრულებს. ამ პროცესს, კანონის თანახმად, სახელმწიფოს ადმინისტრაციული ორგანო, ჩვენს შემთხვევაში - განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ახორციელებს. სკოლისთვის ლიცენზიის გაცემა მხოლოდ უსაფრთხო საგანმანათლებლო საქმიანობის უფლების მინიჭებას ნიშნავს. უდავოა, რომ ეს მექანიზმი ძალიან მნიშვნელოვანია. თუმცა, ლიცენზირების პროცესი არ არის მოწოდებული საქმიანობისა და მისი შედეგის ხარისხის ხარისხიანად. არადა, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ჩვენი საზოგადოების მოლოდინი სკოლებში სწავლის ხარისხის გაუმჯობესება გახლავთ.

### ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობის ხარისხიანობის შეფასებისკენ არის მიმართული სასკოლო სისტემის მართვის კიდევ ერთი კომპონენტი - აკრედიტაცია.

აკრედიტაციის პროცესს ახორციელებს განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი. ზოგადი განათლების შესახებ კანონის თანახმად:

აკრედიტაცია - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მიმდინარე სასწავლო პროცესის ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტთან, ეროვნულ სასწავლო გეგმებთან და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ნორმატივებთან შესაბამისობის დადასტურება. თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება სრულად ვერ აკმაყოფილებს აკრედიტაციის პირობებს, მას ვარკვეული დროით მიენიჭება პირობითი აკრედიტაცია, რათა ამ დროის განმავლობაში აკრედიტაციის პირობები სრულად დაკმაყოფილდეს;

ამავე კანონით, იმავე მიზნებს ემსახურება სკოლის მიერ განხორციელებული თვითშეფასება. თვითშეფასების პროცესში მონაწილეობენ სკოლის მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები.

როგორც ნათლად ვხედავთ, სწორედ სკოლის თვითშეფასება და აკრედიტაცია არის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ეფექტიანობის კომპლექსური და ურთიერთგანმანათლებელი ხარისხის მართვის მექანიზმი. სწორედ, ამ პროცესში იქნება ჩართული სასკოლო საქმიანობით დაინტერესებული ყველა მხარე. ჩვენი საზოგადოების აღნიშნულ მოლოდინზე ობიექტური და მრავალმხრივი პასუხის გაცემის საშუალება ახლაც და მომავალშიც, სწორედ თვითშეფასებაზე დაფუძნებული აკრედიტაციის პროცესია. ასეთი მნიშვნელოვანი პროცესი, ბუნებრივია, უნდა დაფუძნდეს ფართო განხილვის შედეგად შემუშავებულ მოდელსა და მის გამოცდას რეალურ ვითარებაში (პილოტირებას).

აკრედიტაციის როლი და მნიშვნელობა

საზოგადოდ, აკრედიტაცია არის შეფასების მრავალმხრივი პროცესის განხორციელების საფუძველზე აღიარების დასტური. იგი ენიჭება საგანმანათლებლო დაწესებულებას (ან პროგრამას), რომელიც აკმაყოფილებს, ან აჭარბებს განათლების ხარისხსა და მისი უზრუნველყოფისათვის სახელმწიფოს ან პროფესიული გაერთიანების მიერ დადგენილ კრიტერიუმებს.

აკრედიტაციას აქვს ორი ძირითადი მიზანი: საგანმანათლებლო დაწესებულების (ან კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის) ხარისხის კონტროლის უზრუნველყოფა და საგანმანათლებლო დაწესებულების (ან კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის) ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა.

აკრედიტაციის პროცესი ხორციელდება ერთი საერთო სქემით. იგი მოიცავს: საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საკუთარი საქმიანობის შესწავლას - თვითშეფასების განხორციელებას და დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფის გარე შეფასებას - ვიზიტს ადგილზე, სიტუაციის ანალიზს, საექსპერტო დასკვნის შემუშავებას და მის საფუძველზე ცენტრალური მმართველი ჯგუფის მიერ, რომელსაც აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის საბჭოს წევრები წარმოადგენენ, აკრედიტაციის სტატუსის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას.



საგანმანათლებლო დაწესებულების აკრედიტაციის პროცესის დროს ფასდება, ზოგადად, საგანმანათლებლო დაწესებულების მახასიათებლები და ის, თუ რამდენად პასუხობს ესა თუ ის სკოლა საკუთარ დანიშნულებას. ამიტომ, ყურადღება ექცევა საგანმანათლებლო დაწესებულების არა მარტო სასწავლო პროგრამებს, არამედ სხვა ისეთ მახასიათებლებსაც, როგორცაა: მოსწავლეთა მომსახურება, დაწესებულების შიგნით არსებული ატმოსფერო, რესურსების შესაბამისობა დანიშნულებასთან, ადმინისტრაციული ნაწილის ქმედითუ-ნარიანობა და ა.შ.

აკრედიტირებული საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია აწარმოოს მუდმივი კონტროლი და პერიოდული თვითშეფასება, რათა განსაზღვროს - რა სფეროშია იგი წარმატებული, სად არის ძლიერი მუშაობის გაუმჯობესება, გააცნობიეროს საკუთარი სქიორი და სუსტი მხარეები და დაგეგმოს ღონისძიებები ხარვეზების აღმოსაფხვრელად. ამით იგი იმყოფება თავისი მუშაობის ხარისხის მუდმივი გაუმჯობესების პროცესში.

ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან კონსულტაციებისა და რეკომენდაციების განცხადება ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო დაწესებულებისა თუ განათლების სისტემაში სხვადასხვა ვალდებულებების მქონე ორგანიზაციების მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებასა და წინსვლას.


აკრედიტაციის პროცესი საქართველოში

საქართველოში სააკრედიტაციო საქმიანობას ახორციელებს განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი. მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა აკრედიტაციის პროცესის განხორციელება. განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის მიერ ამ პროცესის ჩატარება მიზნად ისახავს თითოეული ბავშვისთვის მისაწვდომი გახდეს ევროპულ სტანდარტებთან მიახლოებული აღზრდა-განათლება, რომელიც ეფუძნება მოზარდში ეროვნული და ზოგადსაქართველო ღირებულებების პატივისცემასა და სამოქალაქო ცნობიერების განვითარებას. ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად აკრედიტაციის გავლა საავტომატოლოა ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისთვის. საჯარო სკოლები ავტომატურად აკრედიტირებულად ითვლებიან 2011-2012 სასწავლო წლის დაწყებამდე, ხოლო ლიცენზირებული კერძო სკოლები - 2010-2011 სასწავლო წლის დაწყებამდე.

ამრიგად, ამ დრომდე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის პროცესის დაწყება.

აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი ზედამხედველობას უწევს და ხელმძღვანელობს აკრედიტაციის ჩატარების პროცესს, რომელიც მოიცავს გავლით ვიზიტებს, აკრედიტაციის საბჭოს სხდომების ორგანიზებას, საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და ექსპერტებისთვის კონსულტაციების განცხადებას.

გარდა ამისა, განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრს რეგიონებში ეყოლება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა აკრედიტაციის რეგიონული კოორდინატორები.



2008 წლის 1 თებერვალს, ცენტრში, შეიქმნა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა აკრედიტაციის სამმართველო. დაიწყო მუშაობა აკრედიტაციის პროცესის განხორციელებისთვის აუცილებელ ნორმატიულ დოკუმენტებზე. აგრეთვე დაიწყო შეხვედრები ამ პროცესის შედეგებით დაინტერესებულ მხარეებთან, საზოგადოების წარმომადგენლებთან, რათა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის სრულმასშტაბიანი პროცესის განხორციელების წინ გაიზარდოს ამ პროცესისადმი ნდობა და საზოგადოების მიერ გააზრებული იქნას მისი მნიშვნელობა.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის სამმართველოს მიერ, 2008 წლის თებერვალში, მომზადდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის დებულების პროექტის პირველი სამუშაო ვარიანტი, რომელიც ითარგმნა რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

პროცესისთვის მზადების გამჭვირვალობისა და მასში საზოგადოების ჩართულობის გასაზრდელად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის სამმართველომ 2008 წლის გაზაფხულზე ჩაატარა სემინარები საგანმანათლებლო რესურსცენტრების წარმომადგენლებთან და აგრეთვე ამ რეგიონების სკოლების დირექტორებთან. სკოლების დირექტორებთან შეხვედრაზე მონვეული იყო თითო რესურსცენტრიდან 2 სკოლის დირექტორი. სკოლების შერჩევა განახორციელეს თავად რესურსცენტრებმა ჩვენი რეკომენდაციის საფუძველზე, რომელიც მდგომარეობდა შემდეგში: აერჩიათ რაიონში ერთი წარმატებული და ერთი შედარებით პრობლემური სკოლა. ამ შეხვედრებზე განიხილებოდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის დებულების პროექტი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის დებულების პროექტის პრეზენტაციის შემდეგ იმართებოდა განხილვა. განხილვაზე ისმებოდა მთელი რიგი შეკითხვები, რომლებიც ეხებოდა ლიცენზირებისა და აკრედიტაციის, აგრეთვე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის პროცესებს შორის განსხვავებას, რეგიონის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმატებასა და პრობლემებს.

თითოეული სემინარის მონაწილეებს განემარტათ, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის პროცესის შინაარსი პრინციპულად განსხვავდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკრედიტაციის პროცესისგან, რომ ამ პროცესის არსია სკოლებში სწავლა-სწავლეების ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა და ამ მიზნით მათთვის დამხმარე რეკომენდაციების განცხადება.

აკრედიტაციის სამმართველომ ასევე ჩაატარა სამუშაო შეხვედრა ბავშვთა ზრუნვის სამმართველოსა და განსაკუთრებული საჭიროების მქონე სკოლა-პანსიონების წარმომადგენლებთან. შეხვედრის მიზანი იყო ერთობლივად გაგვეხილა ასეთი ტიპის დაწესებულებების თავისებურებანი და პრობლემები, რათა ისინი გათვალისწინებულ იქნას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამის კრიტერიუმებსა და ინდიკატორებზე მუშაობისას.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა აკრედიტაციის სამმართველომ შეაჯამა ყველა ის წინადადება და მოსაზრება, რაც გამოთქმულ იქნა 73-ვე რესურსცენტრის წარმომადგენლებთან, ბავშვთა ზრუნვის სამმართველოსა და სკოლა-პანსიონების წარმომადგენლებთან გამართულ შეხვედრებზე, აგრეთვე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლების მიერ შემოთავაზებულ წინადადებებში, რომლებიც მიღებული იყო როგორც წერილობით, ასევე ელექტრონული ფოსტით. ამ წინადადებებისა და მოსაზრებების გათვალისწინებით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა აკრედიტაციის დებულების პროექტში შეტანილი იქნა შესაბამის ცვლილებები და მომზადდა პროექტის ამჟამინდელი ვარიანტი. მისი წარდგენა მოხდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში. დებულების პროექტში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა აკრედიტაციის პროცესის ქმედითუნიანი სტრუქტურისა და წესის შემუშავებას. შემოღებულ იქნა აკრედიტაციის პროცესის გაუმჯობესებული მოდელი, რომელიც ეფუძნება ამ პროცესში ვებპორტალის გამოყენებას, რაც ვფიქრობთ, შეამცირებს პროცესის ხარჯებს, მოქნილსა და სწრაფს გახდის მის მიმდინარეობას.

სკოლების აკრედიტაციის სტანდარტები

აკრედიტაციის დებულების პროექტის შემუშავებისას განსაკუთრებული ყურადღება იყო გამახვილებული დებულების იმ ნაწილზე, რომელიც ეხება აკრედიტაციის სტანდარტებს, ინდიკატორებს და მათი შემოწმების წყაროებსა თუ საშუალებებს.

სამმართველოს მიერ სამუშაო ვარიანტის განხილვა ჩატარდა რამდენიმე ჯგუფთან სამუშაო შეხვედრებზე. ეს სამუშაო ჯგუფებია: საჯარო სკოლების დირექტორები და მასწავლებლები, კერძო სკოლების დირექტორები, განსაკუთრებუ-

ლი საჭიროების მქონე ბავშვთა ზრუნვის სამმართველოსა და შეხვედრული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა საჯარო სკოლა-პანსიონების, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის წარმომადგენლები. გაიმართა 6 ასეთი შეხვედრა. მონაწილეები, ძირითადად, გამოთქვამდნენ აზრს, რომ სტანდარტებისა და შესაბამისი კრიტერიუმებისა და შემოწმების წყაროების ზემოთ აღნიშნული სამუშაო ვარიანტი კონცეპტუალურად მისაღება მათთვის. ამავ დროს, გამოითქვა საინტერესო და აქტუალური მოსაზრებები, რომლებიც გათვალისწინებულ იქნა აკრედიტაციის სტანდარტებისა და შესაბამისი ინდიკატორების შემუშავებისას.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასებისა და ექსპერტთა შეფასების სახელმძღვანელოების მომზადება დაიწყო სახელმძღვანელოების კონცეფციის შემუშავებით. ამ მიზნით, ბრიტანეთის საბჭოს მხარდაჭერით, განხორციელდა OFSTED-ის (ბრიტანეთის განათლების სტანდარტების შეფასების ოფისის) კონსულტანტის, ბენ ედი რედის ძალიან ნაყოფიერი ვიზიტი. სამუშაო შეხვედრების შედეგად მივიღეთ შეფასებისა და თვითშეფასების სახელმძღვანელოების მონახაზი, რომლის საფუძველზეც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების აკრედიტაციის სამმართველომ გააგრძელა მუშაობა ამ სახელმძღვანელოებზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების აკრედიტაციის სამმართველოს მიერ ამჟამად შემუშავებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასებისა და დამოუკიდებელ შემფასებელთა სახელმძღვანელოების პროექტები.

ამასთან, ცენტრმა მხედველობაში მიიღო განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტი „ილია ჭავჭავაძის“ შეფასება. 2007 წელს ამ დოკუმენტში მოცემული დასკვნები ასახავენ სხვადასხვა საქართველოს ზოგადი განათლების სისტემის სხვადასხვა რეგიონების წარმომადგენლებისა და უცხოელი ექსპერტების შეფასებულ მოსაზრებებს. კერძოდ, მასში ნათქვამია: „სკოლების წინაშე მომავალ სასკოლო აკრედიტაციასთან დაკავშირებით 2009-2011 წლისათვის არა ერთი პრობლემა დადგება. დღემდე სკოლების დამოუკიდებელი მმართველი ორგანოები ჯერ კიდევ საკმაოდ სუსტია. არსებობს ინტენსიური და სპეციფიური მოსამზადებელი კურსების აუცილებლობა. მომზადება კარგად დაგეგმილი და მომზადებული სტრატეგიის საფუძველზე უნდა ჩატარდეს, რათა სკოლის აკრედიტაციის პროცედურების მითხარევი დააკმაყოფილოს.“

საგარეოდ, 2009 წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ცალკე გამოკვლევა უნდა ჩაატაროს და დაადგინოს, აკრედიტაციისათვის დადგენილი ვადები რეალისტურია თუ არა აღნიშნული სისუსტეების გათვალისწინებით.“

სწორედ აღნიშნული კვლევის მიზნით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების აკრედიტაციის სამმართველოს მიერ შემუშავდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების აკრედიტაციის გამოცდის/პილოტირების პროექტი. აღნიშნული პროექტის ერთ-ერთი ეტაპი ითვალისწინებდა 50-60 შემფასებელ-ექსპერტთა კანდიდატის შერჩევას და მათ გადამზადებას სკოლების აკრედიტაციის გამოსაცდელ პროექტში მონაწილეობისთვის. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის სამმართველოში, ან. ივლისის თვიდან, მიმდინარეობდა ამ პროექტში მონაწილეობისთვის ექსპერტების კანდიდატთა შერჩევა. შეირჩა 65 ექსპერტობის კანდიდატი. მათი მოსამზადებელი წვრთნისათვის (დეკემბერი, 2008 - იანვარი, 2009) ცენტრში მონეული იყო აშშ-ს კლემსონის უნივერსიტეტის პროფესორი, ექსპერტი განათლების საკითხებში, ბენი თეოდორი მაური.


ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელების კიდევ ერთი ეტაპი ითვალისწინებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის ევპორტალის შემუშავებასა და აკრედიტაციის პროცესის სუბიექტების (აკრედიტაციის საბჭო, რეგიონული კოორდინატორები, ექსპერტები, გამოსაცდელი სკოლები) გადამზადებას მუშაობაში. ამ პროცესის განხორციელების წინ ცენტრში დასრულდება სკოლების თვითშეფასების სახელმძღვანელოზე მუშაობა. ცენტრის თანამშრომლები, გადამზადებულ შემფასებლებთან ერთად, გეგმავენ თითოეული გამოსაცდელი/საპილოტე სკოლიდან, სულ მცირე, 3 ადამიანის მომზადებას თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობაში.

აკრედიტაციის სრულმასშტაბიანი პროცესის დაწყებამდე გამოსაცდელი/საპილოტე პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს ხელსაყრელი გარემოს შექმნას, საშუალებას მოგვცემს, შემოწმდეს აკრედიტაციის პროცესის სტრუქტურის და წესის მუშაობა, ასევე საშუალებას მისცემს საქართველოს ყველა რეგიონის თითოეულ სკოლას, უკეთ მოემზადოს აკრედიტაციის პროცესისთვის.

მაია კორძაძე, ბიორბი ბახელაძე



სპორტი



### შენბელის მემორე ბაელები

17 წლის კალათბურთელი **თორნიკე შენგელია** მემორედ გამოჩნდა ვალენსიური „პამესას“ რიგებში, როცა მისმა გუნდმა საშინაო შეხვედრაში „ბრუესა“ 75:66 დაჯაბნა. ჩვენებურმა, დებიუტანტის კვალობაზე, უჩვეულოდ ბევრი – 23 წუთი ითამაშა და 8 ქულა მოიპოვა (4 მოხსნა და თითო მოხსნა-ჩაჭრა). მას სამქულიანი საერთოდ არ უსვრია, 2-იანი პერიმეტრიდან კი 5-ჯერ ესროლა და აქედან 4 – ზუსტად.

ესპანეთის ჩემპიონატში „პამესა“ სხვებივით მქუხარე გუნდი ვერაა, მაგრამ ამ ძლიერი საკალათბურთო ქვეყნის ერთ-ერთი სოლიდური კლუბია და ახალგაზრდა ქართველის ასე გაშინაურება ნამდვილად მისასალმებელია.



### ჭაბუკებმა ჩემპიონები გამოავლინეს

განვლილ უქმეებზე შოთა ჩოჩიშვილის სახელობის ძიუდოს აკადემიამ ჭაბუკ ძიუდოსისტა საქართველოს პირად-გუნდურ ჩემპიონატს უმასპინძლა, რომელსაც ამავე ასაკში ევროპის პირველობაზე წამსვლელი გუნდის კანდიდატები უნდა გამოეყვინა. ცხადია, უპირატესობა გამარჯვებულებმა მოიპოვეს, მაგრამ ჯერ ადრეა ლაბარაკი, ვინ გაინაღდა ნაკრებში ადგილი. წინ კიდევ რამდენიმე შესარჩევი ეტაპია – საერთაშორისო ტურნირი და მწვრთნელები შემადგენლობას ამის შემდეგ დაასახელებენ. ჩემპიონები კი **ლაშა კვიციანი** (50; იმერეთი), **ლუხუმ ჩხვიანი** (55; სამეგრელო-ზემო სვანეთი), **ბექა ტულუში** (60; სამეგრელო-ზემო სვანეთი), **ირაკლი ლომიძე** (66; შიდა ქართლი), **ბაჩანა ტიტვინიძე** (73; თბილისი), **ლევან რუაძე** (81; თბილისი), **ელგუჯა ბიბილაშვილი** (90; იმერეთი), **გიორგი ზაქარიაძე** (მძიმე; იმერეთი) გახდნენ.

### ქვენიშვილი ამერიკაში საუკეთესო

ამერიკაში მცხოვრებმა ბირთვის მკვრელმა **მარიამ ქვენიშვილმა** აშშ-ს საუნივერსიტეტო ჩემპიონატში მოიგო (17,84 მეტრი). შეგახსენებთ, რომ მან აქამდე, სხვადასხვა უნივერსიტეტების პირველობებზე, მიჯრით 5-ჯერ იმარჯვა, ახლა კი წარმატებული სერია აშშ-ს საუნივერსიტეტო ჩემპიონატშიც გააგრძელა. გასაკვირი არცაა, ჩვენებური აშშ-ს საუნივერსიტეტო ლიგის სამხრეთ-დასავლეთ კონფერენციის საუკეთესო მძლეოსან ქალად რომ დაასახელეს.



### ჭაბუკმა მოჭადრაკეებმა ყველაფერი გააკვირეს

თბილისის ჭადრაკის სასახლემ 14 წლამდე გოგონათა და ვაჟთა საქართველოს ჩემპიონატს უმასპინძლა, რომელსაც მსოფლიოსა და ევროპის პირველობებზე წამსვლელი უნდა გამოეყვინა – გამარჯვებულები მსოფლიო ჩემპიონატის საგზურებს იღებდნენ, ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორები – ევროპისას. სასიამოვნოა, რომ ორივე ტურნირში ბრძოლა უაღრესად დაძაბულად წარიმართა და უმეტეს შემთხვევაში, მედალოსანთა გამოსავლენად, კოეფიციენტების მოშველიება გახდა საჭირო. მაგალითად, გოგონებში ჩემპიონის და ბრინჯაოს მფლობელიც ასე გამოვიდა. თბილისელმა **ნატო იმნაძემ** და ქუთაისელმა **ანა შამათავამ** ტურნირი 7-7 ქულით დაასრულეს, თუმცა კოეფიციენტებით ჩემპიონი იმნაძე გახდა და მსოფლიოზეც ის ითამაშებს, შამათავა კი ვერცხლს და ევროპულ საგზურს დასჯერდა.

ტურნირი ასევე თანაბარი ქულით დაასრულეს თბილისელმა **მარიამ ჭოლაძემ** და საგარე-ჯოელმა **ნანა უნაფქოშვილმა** – 6,5-6,5 და ბრინჯაოს მედლის მფლობელიც კოეფიციენტმა გამოავლინა – **ჭოლაძე**, რომელიც ევროპაზე ითამაშებს.

ვაჟებში ჩემპიონი შედარებით იოლად გამოვიდა – თბილისელმა **ირაკლი ბერაძემ** 7,5 ქულით პირველობა არავის დაუთმო, აი, მეორემოთხე ადგილები კი 7-7 ქულით თბილისელმა **ნიკოლოზ ქუმსიაშვილმა**, ასევე დედაქალაქელმა **გიგა ბერიძემ** და ზუგდიდელმა **გიორგი შონიამ** დაიკავეს. მედალოსნების და ევროპის პირველობის მონაწილეთა გამოსავლენად აქაც დამატებითი მაჩვენებლების მოშველიება გახდა საჭირო. საბოლოოდ ვერცხლი ქუმსიაშვილმა მოიპოვა, ბრინჯაო – ბერიძემ.

მსოფლიო პირველობა ნოემბერში ანტალიაში გაიმართება, ევროპისა – ოქტომბერში, იტალიურ სან ჯორჯიაში.

### კალაშნიკოვას გიზა შემოსწყრა



**ოქსანა კალაშნიკოვას** ეგვიპტურ გიზაში ზედიზედ მეორე ტურნირის მოგებაზე ერთი გამარჯვება დააკლდა. შეგახსენებთ, რომ მან წინა კვირაში ერთ ტურნირში იმარჯვა, ახლა კი ფინალში გავიდა, მაგრამ რუს გალინა ფოკინასთან ორ სეტში წააგო. ამის მიუხედავად, რეიტინგში ქულები და ჯიბეში დოლარები მაინც შეიმატა.

ორივე ეს შეჯიბრება სატელიტური ტურნირი გახლდათ, ორშაბათს კი 18 წლის ჩოგბურთელი ძირითად ტურნირშიც ჩაება, ოლონდ აქაც – საკვალიფიკაციოში. ჩვენებურმა ორი შეხვედრა მოიგო და ძირითად ბადეში გასასვლელად ერთი გამარჯვებაა რჩებოდა, თუმცა ტრამვის გამო უნგრელ იანისთან შეხვედრა ვერ დაამთავრა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ დროს კალაშნიკოვა ისედაც აგებდა.

რუბრიკას უძღვება **ირაკლი თაყაძე**

 <p><b>მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი</b></p>	<p>მისამართი: ტატილაშვილის №3 ტელ.: 95-80-23, 890 958023, 855 411668, 855 178027.</p> <p>E-mail: axaliganatleba@gmail.com, ganatleba@mail.ru</p>	<p>რედაქციის რეკვიზიტები: საქართველოს ბანკი</p> <p>გ/კ 220101502, ს/კ 202058735, ა/ა 123631000</p>
	<p>რეგისტრაციის № 2/4-1609, ინფორმაციის ცენტრი: 76096</p> <p>გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.</p> <p>რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უარუხდებათ.</p>	